# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 19 აპრილი 2004 №86 (2105) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა




მოიგო „მილანმა“, არ წააგო „ვერდერმა“ და ამით ის გამოვიდა, რომ პირველს 9 ქულით ჰყავს მოტოვებული უახლოესი მდევარი, მეორეს კი 8 ქულით. ახლა ისიც ვთქვათ, რომ გერმანიაში სეზონის დასრულებამდე ხუთი ტურია დარჩენილი, იტალიაში კი სულაც ოთხი. ჰოდა, ლიდერთა შეცვლა აქაც და იქაც სასწაულის ტოლფასია. არაფერია საეჭვო ინგლისშიც. ჯერაც წაუგებელი „არსენალი“ „ჩელსის“ წაფორხილების შემდეგ კიდევ უფრო დაუახლოვდა მიზანს და რაღა დარჩა ევროპაში სანახავი? რა და, ესპანური პრიმერა. წუხელ „ვალენსია“ სასწაულებრივ დაუძვრა „სოსიედადთან“ მარცხს, ლიდერი ბოლო წუთზეღა გამორჩა ქულას და რადგან შაბათს „რეალმა“ მადრიდული დერბი მოიგო, ცხრილს თანაბარქულიანი ორი ლიდერი შერჩა. ამით კი „ბარსელონამაც“ მოითბო ხელი, პირველ ტაიმშივე რომ მოამთავრა საქმე „მალაგასთან“ და ლიდერთა დუეტს შვიდი ქულითღა ჩამორჩება.

„ბარსას“ შანსი არა აქვს? ნუ ავჩქარდებით, მომავალ ტურში „ვალენსია“ ლიდერთა „მკვლელ“ „ბილბაოს“ სტუმრობს, „ბარსა“ კი... ბევრს ნურაფერს ვიტყვით, 24 აპრილს „რეალი“ — „ბარსელონაა“...

# ხასიათის ამბავი

## დინამომ ბასკოს განწყობა მოუგო



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

დრაჟენ ბრაიკოვიჩი

უფულობასა და დაძაბულ პოლიტიკურ ყოფას ბათუმიდან თბილისში გამორიდებული „ბასკო“ გუშინ ვერის ბაღში „დინამოს“ „მასპინძლობდა“. მე-13 ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი ამ მატჩით დასრულდა და თუმცა „დინამომ“ იმარჯვა, რეგულარულ ჩემპიონატში პირველობა მაინც ბათუმის გუნდს დარჩა და პლეი ოფშიც ის განითესება პირველ ნომრად. „დინამოს“ კი ამ მატჩის მოგება არა სატურნირო კეთილმოწყობისთვის, არამედ საპლეიოფო ხასიათისთვის სჭი.ჰდებოდა, რაკი ნუგზარ კანდელაკის გუნდს დრაჟენ ბრაიკოვიჩის სამწყსო წინა სამივე საჩემპიონატო შეხვედრაში დაემარცხებინა და თუ ამათ პლეი ოფში ფინალამდე არ წააგეს, იქ სწორედაც დასჭირდებათ განწყობა და ერთმანეთის ძლევის გამოცდილება.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ნუგზარ კანდელაკი

# რა არეული აპრილია

**ფეხბურთის** ფედერაციის პრეზიდენტისა და აღმასრულებელი დირექტორის კვიპროსზე ყოფნისას, დღეს თბილისში პარიზიდან ჩამოდიან ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესი და მისი თანაშემწე გია გურული. ჩამოდიან, რათა ნაკრები 28 აპრილის ამხანაგური მატჩისთვის მოამზადონ, მაგრამ, პარადოქსი თუ გინდა, ესაა: ნაკრების მეტოქე უცნობია, 30-ფეხბურთელიანი შემადგენლობა კი ჟირესისგან უკვე გამოცხადებულია. რა გამოდის? ვის უნდა ეთამაშოს ეს 30 ფეხბურთელი?

კვიპროსზე გამგზავრებულ მერაბ ჟორდანიასა და ანდრო აბაშიძის არყოფნაში ამ კითხვაზე პასუხს ფედერაციიდან ვერ იძლევიან, მწვრთნელებთან დაკავშირება კი არ ხერხდება. რაც შევიტყვეთ, ესაა: ფედერაციის თბილისში მყოფი თანამშრომლები ალენ ჟირესის ჩამოსვლას ელიან და გასარკვევსაც ამის მერე გაარკვევენ. შესაძლოა, მეტოქე დღესვე გამოჩნდეს და ჟირესმა ის 30-კაციანი შემადგენლობა დაიბაროს; ისიც შესაძლოა, მწვრთნელმა ლეგიონერთა მოწვევისგან თავი შეიკავოს და თბილისში კლუბების ნაკრებების თამაშს დასჯერდეს.

მოკლედ, ჯერ არც ფედერაციაში იციან და არც მწვრთნელებმა უწყიან, რა იქნება 28 აპრილს, არადა, ეს დღე ფიფასგან სწორედაც ამხანაგური მატჩებისთვისაა და მთელი მსოფლიო ითამაშებს.

**ქოგა ინასარიძე**

# მინდა ბოლონია, რეინჯერსი და 30!

*თითქმის ერთი თვეა, რაც რეინჯერსელმა შოთა არველაძემ მუხლის ოპერაცია გაიკეთა ამსტერდამში და ახლა სარეაბილიტაციო პერიოდს გლაზგოში გადის. თუმც შოთა მატერიკზე დაბრუნებას კვლავაც აპირებს და კიდევ 30-მდე ასვლას...*




— თავის კარგად ვგრძნობ, ყავარჯნებიც გადავაგდე და პროცედურებზე დავდივარ — აუზი, ველოსიპედი...

— **სარეაბილიტაციო პერიოდი როდის დასრულდება?**

— როცა შოტლანდიაში სეზონი დასრულდება, იტალიაში წავალ — ბოლონიაში, სავარაუდოდ, 16 მაისს ჩავალ და იქ ორი კვირით გავჩერდები. თავის დროზე ბოლონიაში გაიარეს სარეაბილიტაციო პერიოდი გიორგი ნემსაძემ და ზურაბ ხიზანიშვილმა. ბოლონიის ეს კლინიკა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა ფეხბურთელთა სარეაბილიტაციოდ.

— **„რეინჯერსმა" კონტრაქტის ერთი წლით გაგრძელება შემოგთავაზა, მაგრამ ხელმოწერას არ ჩქარობ — ეს მხოლოდ ტრავმის ბრალია თუ გაისად სხვა გუნდში გინდა გადასვლა?**

— „რეინჯერსთან" კონტრაქტი გაისად კი მეწურება, მაგრამ ძალიან მინდა, გავაგრძელო, უბრალოდ, მთავარია, ჯანმრთელად ვიყო.

— **უკვე სამი ოპერაცია გაქვს გაკეთებული, ხშირად გქონდა მიკროტრავმებიც — ნაკრებში თამაშს კვლავაც გააგრძელებ?**

— თხუთმეწლიან კარიერას ტრავმების გარეშე უკან, აბა, როგორ მოვიტოვებდი?! თუმც როცა „ტრაბზონში" ვთამაშობდი და მარჯვენა მუხლზე გავიკეთე ოპერაცია, ოთხ თვეში თბილისში ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ სამი გამაყურებელი ნემსით ვითამაშე — ეს შეცდომა საბედისწერო გამიხდა. „აიაქსში" ყოფნისას იმავე მუხლზე მომიწია ოპერაციის გაკეთებამ და ახლაც მარჯვენა მუხლზე დამისვეს დანა. მაგრამ თუ ჯანზე ხარ, ნაკრებში თამაშიც გინდა. სეზონში საშუალოდ ორმოც მატჩს ვთამაშობ და კიდევ შვიდი სანაკრებო თამაში არაფერს შეცვლის — დატვირთვის მხრივ შვიდი თამაში თოთხმეტი კარგი ვარჯიშია.

— **ალბათ არც სანაკრებო სტატისტიკაა შენთვის უმნიშვნელო...**

— ნაკრებში 48 მატჩი ბევრს არ უთამაშია, თანაც ისეთ ნაკრებში, რომელიც წელიწადში ერთ ამხანაგურ მატჩს თუ გამართავს. ისიც მსიამოვნებს, საქართველოს ნაკრებში ყველაზე მეტი გოლი რომ მაქვს გატანილი, თუმც ამაში არავის ვეჯიბრები. ძალიან მინდა, ნაკრებში გატანილი 19 გოლიდან ჯერ 30-მდე ავიდე, მერე კი ვნახოთ...

**დავით თაგართქილაძე**

*დავით სირაძემ გუშინ თავისი პირველი გერმანული გოლი გაიტანა. მეორე ბუნდესლიგის ლიდერ „ნიურნბერგთან" საშინაო მატჩში „უნიონმა" თავი არ დაზოგა, ბოლო წუთამდე იბრძოლა, მაგრამ გამოცდილ მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა. სირაძის გუნდმა 3:5 წააგო და მასპინძელთა გოლებში თავისი წილი ჩვენებურმაც დაიდო. სირაძემ კი ივარგა, მაგრამ ამ წაგებით „უნიონმა" რეგიონალლიგას მიუკაკუნა და ბერლინელებს სასწაული თუ იხსნის გავარდნისგან.*

*ძალიან მაგარი თამაში იყო, მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ ერთი დასანანი შეცდომის გამო წავაგეთო, გვითხრა დავით სირაძემ გუშინ ბერლინში რომ შევეხმიანეთ*

# სირაძემ გოლი ნახა და რუსების ფული დაკარგა


ეროვნული ბიბლიოთეკა

— **„ნიურნბერგთან" შეცვლაზე ითამაშე, არადა, წინასწარ განაცხადში ძირითადში იყავი. რატომ შეცვალა მწვრთნელმა რისტიჩმა გადაწყვეტილება?**

— მართლაც ძირითადში უნდა მეთამაშა, მაგრამ მატჩისწინა თეორიულ მეცადინეობაზე დავაგვიანე და რისტიჩმა ჩემს ნაცვლად სხვა ჩასვა ძირითადში, არადა, თამაში რომ დაიწყო, მაშინვე მითხრა, მოემზადე, მოედანზე შეხვალო... 25-ე წუთი იყო, მოლატა რომ შევცვალე, იმ დროს 0:2-ს ვაგებდით და ტაიმის ბოლოს ერთი ბურთი გავქვითეთ, თუმც იქვე მეტოქემ მესამეც გაგვიტანა.

— **„უნიონმა" მეორედ შენი გოლით შეამცირა სხვაობა...**

— აი, ახლა მიმოხილვას ვუყურებ, ჩემი გოლიც ვნახე, კაი რამე იყო, ბრუნსის პასზე გაწოლილი თავურით შევაგდე. ამ გოლის მერე კი ოთხ წუთში ბაუმგარტს გავტანინე. ერთი-ერთზე დავტოვე მეკარესთან და უპრობლემოდ შეაგდო. მოგებაც შეგვეძლო — პოპოვი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ნაღდი მომენტი გააფუჭა, წამოიღეს ბურთი ნიურნბერგელებმა და მეოთხე გაგვიტანეს. ამ გოლმა საბოლოოდ დაგვშალა და მალე მეხუთეც გავუშვით.

— **„უნიონის" მწვრთნელ რისტიჩს უთქვამს, ეს თამაშიც თუ წავაგეთ, მეორე ბუნდესლიგას უნდა გამოვემშვიდობოთო.**

— რისტიჩი ლამის ტიროდა პრესკონფერენციაზე, ქომაგებს ბოდიში მოუხადა, ამ გუნდს არ მივატოვებ და პირობას გაძლევთ, ერთ წელში დავაბრუნებ მეორე ბუნდესლიგაშიო.

ფაქტობრივად, გავარდნილები ვართ, სასწაული იქნება, დარჩენილ ხუთ ტურში მეთოთხმეტე ადგილზე მყოფ „ტრირს" შვიდქულიანი უპირატესობა რომ წავართვათ. არადა მეც და, „უნიონსაც" დარჩენის შემთხვევაში კარგი პერსპექტივა გვქონდა — კლუბს რუსი ბიზნესმენები ყიდულობდნენ, დიდი თანხას გამოდიოდნენ, მაგრამ ახლა ალბათ ყველაფერი უკან დარჩა.

— **რას აპირებ, რეგიონალლიგაშიც გაჰყვები „უნიონს"?**

— გამორიცხულია. წამოვალ გუნდიდან, კონტრაქტი მაინც მიმთავრდება. კარგია, რომ „ნიურნბერგს" გავუტანე, შევეცდები, დარჩენილ მატჩებშიც გამოვიჩინო თავი და რეკლამა გავიკეთო.

**ბაატა ქვანტალიანი**

# გვაზავას წამალი ჭირესია

**ალანიელი** ქართველებისთვის რუსეთის პრემიერლიგის მეხუთე ტური რომ უიღბლო გამოდგა, უკვე ვწერდით. დაშავებული გვაზავა და დარასელია ჯერაც მკურნალობენ. გვაზავა სულაც მოსკოვში მიფრინავს და იქ გაიგებს ტრავმის ზუსტ დიაგნოზს.

„ჯერ სხივები და წყლის პროცედურები სცადეს — გვითხრა გუშინ ლევან გვაზავამ — თაბაშირი კი მომხსნეს, მაგრამ ყრუ ტკივილებს ისევ ვგრძნობ. „ტორპედო-მეტალურგთან" დღევანდელი მატჩის შემდეგ ჩვენი კლუბის პრეზიდენტი საკუთარი თვითმფრინავით მოსკოვში მიფრინავს და მეც მივყავარ. იქ რუსეთის ნაკრების ექიმი დიაგნოზს დამისვამს და იმის მიხედვით გავაგრძელებ მკურნალობას. ერთადერთი სასიხარულო, რაც ბოლოს შევიტყვე, ნაკრების ოცდაათკაციან სიაში ჩემი შეყვანაა. აპრილის ბოლოსთვის, როდესაც ნაკრებს ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი, ტრავმა ალბათ მოშუშებული არ მექნება, მაგრამ ჩემთვის ეს დიდი სტიმული იქნება. წინასწარ არ მინდა, ვთქვა, მაგრამ, მგონი, ტრავმასაც ნავარაუდევზე ადრე მოვიშუშებ".

გაცილებით უკეთაა ვიტალი დარასელიას საქმე: „ახლა ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ, ხვალიდან კი ძუნძულს დავიწყებ. ტკივილები აღარ მაწუხებს, მაგრამ არ რისკავენ და არ მაჩქარებენ, მეუბნებიან, რომ ცსკა-სთან მატჩისთვის მამზადებენ".

**დავით ერაძე**

# ალექსიძეს იმედი დაუნიშნეს



**„როსტოვს"** ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — სერგეი ბალახნინი და წინა ტურში, „როტორთან", 18-კაციან განაცხადში ვერმოხვედრილ რატი ალექსიძეს იმედი მიეცა...

— კარგი პიროვნება ჩანს. „როტორთან" თამაშის შემდეგ ველაპარაკე და კმაყოფილი დავრჩი. შევატყვე, რომ ჩემი იმედი აქვს. „როსტოვის" სათამაშო სტილიც მნიშვნელოვნად შეიცვალა. უფრო იმ მანერით ითამაშეს, მე რომ იოლად ავუღებ ალღოს — საჯარიმოში ჩაწოდებები და გრძელი პასები, გამოკვეთილი ფორვარდი, რომელსაც პარტნიორები პასებით ამარაგებენ — გვითხრა გუშინ ალექსიძემ, როსტოვში რომ შევეხმიანეთ.

ალექსიძემ „როსტოვის" დუბლშემადგენლობაში ითამაშა „როტორის" წინააღმდეგ და პირველი ტაიმის შემდეგ შესაცვლელი შეიქნა: „მეკარემ ბარძაყის კუნთში ჩამარტყა, მაგრამ აშკარა პენალტი არ დაინიშნა, თამაშის გაგრძელება ველარ შევძელი. ანთების საწინაალმდეგო წამალი დამინიშნეს, ხვალიდან მხოლოდ ძუნძულს შევძლებ და ალბათ სათასო მატჩსაც გამოვტოვებ. გავიგე, ნაკრების გაფართოებულ სიაში მეც დამასახელეს და ვეცდები, ჩემი ნაკრებშიც დავამტკიცო და აქაც. მიმაჩნია, რომ „როსტოვში" აქამდე უსამართლოდ მექცეოდნენ".

**დავით ერაძე**

## იტალია

სერია A. XXX ტური

მოდენა 0:1 რომა

## პორტუგალია

სუპერლიგა XXX ტური

ბეირა მარი 0:0 პორტუ

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი XXXIII ტური

ბარსელონა 3:0 მალაგა

სეგუნდადივიზიონი XXXIII ტური

სიუდად მურსია 0:2 ნუმანსია

თბილისი. 17 აპრილი. 16 საათი. ლოკომოტივი. 200 (ტევადობა 25 600)

## მცხეთა 2:0 მერცხალი

1:0 ლ. ჩხაიძე (76), 2:0 ხორავა (88)

**მცხეთა:** ცინაძე, მგელაძე, ჩაჩუა, ჯაფარიძე, რაქვიაშვილი (ავალიანი 46), კახნიაშვილი, ბესარაშვილი, ლ. ქებაძე, ლ. ჩხაიძე (ფურთუხია 77), ხორავა, გ. თოდუა (კიკალიშვილი 73)
*სათადარიგონი:* თ. ოდიკაძე; სეთურიძე, პ. ნოზაძე, გვარუციძე
**მწვრთნელი:** ჯანო ფოფხაძე

**მერცხალი:** გია გოგუა, კვირკვია, ჭალიაშვილი, მონწყობილი (ებრალიძე 51), გ. წივწივაძე, მებონია, ბართია, უ. ჩხაიძე (ოქიტაშვილი 51), მჟავანაძე, სიამაშვილი (მიქაბერიძე 73), თორია
*სათადარიგონი:* როხაძე; ჯანელიძე
**მწვრთნელი:** აკაკი ათუაშვილი

**გაფრთხილება:** ჭალიაშვილი (33), ლ. ჩხაიძე (75)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მალალურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო



„მერცხალი“ ლაშა ჩხაიძის (№14) ამ გოლმა ჩამოაგდო

საქართველოს ჩემპიონატი 15 — უმაღლესი ლიგა — მეორე ეტაპი — 5 ტური
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# აბერ, მერცხალი ვეღარც ჭყივის

**კახა შალამბერიძე**

**სენსაცია** არ მოხდა. „მცხეთამ“ მაჩანჩალა „მერცხალს“ მოუგო და შანსი გაიჩინა, უმაღლეს ლიგაში ყოველგვარი პლეი ოფის თუ გადათამაშების გარეშე შეინარჩუნოს ადგილი. საამისოდ ჯანო ფოფხაძის გუნდს იმ „ბათუმის“ ჩამოტოვება მოუწევს, რომელსაც უკვე ქულითლა ჩამორჩება. ასე რომ, წინა დღეს ფოთში „კოლხეთთან“ დამარცხებულ ბათუმელებს შესაძლოა, თითზე საკბენად გაუხდეთ საქმე.

მცხეთელთა შედეგიანი თამაში კი მაინც გასაკვირია. ამ გუნდს ზამთრის შესვენებისას ხეირიანად არც უვარჯიშია, შეკრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. აბა, ახლა ოზურგეთის „მერცხალისაც“ ვიკითხოთ, თუმცა საკითხავი რაღაა — ყველასგან მიტოვებული, უფულო, მოუმზადებელი, მშიერი და განწირულია.

იქნებ როგორმე სეზონი ჩავამთავროთ და მერე რამე გამოჩნდებაო — ოზურგეთელთა ნათქვამში იმედის ერთი-ორი მარცვალიც სანთლითაა საძებნი. „მერცხალს“ ქალაქის გამგეობა და ერთი-ორი შეძლებული კაცი თუ შეეწევა ხოლმე. ამაში კი ოდენ სამგზავრო ფულის გადახდა იგულისხმება. დაგვეთანხმებით, ამ დღეში მყოფი ოზურგეთელი ფეხბურთელების მოედანზე გასვლა გმირობის ტოლფასია.

და მაინც, 76-ე წუთამდე ვაკურ სარბიელზე სენსაციის სუნი ტრიალებდა. ორასამდე ქომაგი გაკვირვებული უცქერდა, როგორ აფუჭებდა „მცხეთა“ თავზესაყრელ მომენტებს. მასპინძელთა უპირატესობა მართლაც თვალშისაცემი იყო. მარტო გიორგი თოდუას პირველ ტაიმში, სულ მცირე, ოთხჯერ შეეძლო გატანა.

„მერცხალს“ სხვა არაფერი დარჩენოდა — შეტევაზე თავს ვერ დადებდა და იძულებული იყო, მცხეთელთა იერიშები ეგერიებინა. ამ საქმეში კი იღბალიც თუ დაეხმარებოდა, მთლად უკეთესი.

დროის გასვლა ჯანო ფოფხაძის ბიჭებს ძალიან ანერვიულებდა, რაც შეძახილებიდანაც ჩანდა. „დააჩქარებინე, სუდია“; „ბიჭო, გოლი გვინდა, ჩქარა“; „უკვე ჩასხდნენ, დაცვაში“ — ხშირად გაიგონებდით მცხეთელებისგან.

თანაგუნდელთა ნერვებს ლაშა ჩხაიძე გაუფრთხილდა. 76-ე წუთზე საჯარიმოში შეყუჟულ ოზურგეთელებში ბურთი მოიხელთა და ზუსტად დაარტყა — 1:0.

სხვა დროს „მერცხალის“ კარში გატანილ ბურთს ასეთი აღტაცება-სიხარული არ მოჰყვებოდა, მაგრამ ახლა ამას ვინ ჩიოდა. „მცხეთამ“ ნავსი გატეხა და სატურნირო მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა.

ბოლო სიტყვა კი გიზო ხორავამ თქვა. 88-ე წუთზე მანამდე გაცუდებული უამრავი შანსი ერთიანად აინაზღაურა და გია გოგუას მეორედ გამოატანინა ბურთი კარიდან.

„მცხეთამ“ მოიგო, მაგრამ ამას იმაზე მეტი ენერგია შეალია, ვიდრე წარმოიდგენდა. „მერცხალი“ კი... ვინ თქვა, გაჭირვება მაჩვენე და გაფრენას განახებო?!

### საუკეთესო

**ლაშა ჩხაიძე**



*ლაშას გოლი რომ არა, ვინ იცის, „მერცხალს“ ოზურგეთში სენსაციური ქულა წაეღო. ჩხაიძე ძალიან აქტიური იყო, მცხეთელთა ყველა შეტევა მისგან იწყებოდა და, რაც მთავარია, მან საჭირო გოლი გაიტანა.*

საქართველოს ჩემპიონატი 15 — პირველი ლიგა — მეორე წრე — 22 ტური
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

თბილისი. 18 აპრილი. 16 საათი. ეროვნული. 250 მაყურებელი

## ამერი 0:1 რუსთავი

0:1 მიქაძე (40)

**ამერი:** ასლანაძე, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ხუბუა, გარუჩავა, ვერემჩუკი, სილაგავა, ბ. გოცირიძე, ა. კაიდარაშვილი, რუსია
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**რუსთავი:** ბობლიაშვილი, ბეჟაშვილი (ზაზაშვილი 33), ნინუა, ვ. ჩხაიძე (შუბითიძე 67), ზვ. ლაბაძე, კაპანაძე (ზ. ლაბაძე 89), ნ. ლაბაძე, მიქაძე, დემეტრაძე, ა. ჯელაძე, ბარბაქაძე
**მწვრთნელი:** ვარლამ კილასონია

**გაფრთხილება:** კაპანაძე (15), ვერემჩუკი (23), ხვადაგიანი (82)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე; ვ. ელისაბედაშვილი, ა. ნონიკაშვილი; ა. შალამბერიძე

# თვალშისაცემი სკამთან იდგა

**პაპუნა კედია**

**შეჯიბრებაა** და კონკრეტული შედეგი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ნება გვიბოძეთ, ასე დავიწყოთ: ვარლამ კილასონია და გიორგი ჩიხრაძე — აი, რა იყო ამ თამაშში ყველაზე კარგი და საიმედო. ქართული ფეხბურთი კარგა ხანია, ახალგაზრდა ინტელექტის გადასხმას ითხოვს და ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, თვალში „რუსთავისა“ და „ამერის“ მწვრთნელები გვეცა.

ვარლამ კილასონია სულ შვიდი თამაშის წინ შეუდგა მწვრთნელობას და ამ შვიდიდან ექვსში გაიმარჯვა. გუშინ კილასონიამ მოიგო ეგრეთ წოდებული აუცილებლად მოსაგები თამაში, თანაც მაშინ, როდესაც მისთვის სასურველი შემადგენლობიდან ხუთი კაცი, მათ შორის ძმა, გიორგი, არ ჰყავდა. ამასთან, შეგვიძლია უყოყმანოდ დავადასტუროთ, რომ „ამერთან“ „რუსთავმა“ სრულიად ჩამოყალიბებულ გეგმას მისდია, ანუ მის თამაშში სწორედ რომ მწვრთნელის ხელი იგრძნობოდა.

და ნუ გაიკვირვებთ, თუ დამარცხებული გუნდის თავკაცს, გიორგი ჩიხრაძესაც დადებითად ვახსენებთ. ჩიხრაძისთვის ეს მხოლოდ მეორე თამაში იყო (პირველი სტუმრად მოიგო „ჩიხურასთან“), რომელშიც ორ მომენტს მივაქცევთ ყურადღებას. შევეცდებით, დალაგებით ავხსნათ რას და რატომ: პირველი ის, რომ მან ამ დღეს სამი თავდამსხმელით ითამაშა, რაც „ამერითვის“ უჩვეულოდ გვეჩვენა. წინა ტურში საჩხერეში დაშავებული ნახევარმცველი გიორგი განუგრავა ჩიხრაძემ ავტომატურად ნახევარმცველითვე არ შეცვალა, საკითხს სხვანაირად მიუდგა და ეს ერთობ მოსაწონი გახლდათ. და მეორე: ჩიხრაძემ თამაში რა შემადგენლობითაც დაიწყო, იმ შემადგენლობით დაამთავრა. „ამერი“ აგებდა, უტევდა და თითქოს სიტუაცია ცვლილებას, გამწვავებას ითხოვდა, მაგრამ ახალგაზრდა მწვრთნელმა აქაც არასტანდარტულად, ალტერნატიულად შეხედა საკითხს. ის ცვლილების გულისთვის ცვლილებას მოერიდა, რაზეც პრესკონფერენციაზე ასე თქვა:

„ძალა ჯერ კიდევ იყო, ხოლო შეტევის პოტენციალი მოედანზე მყოფებს უფრო მეტი ჰქონდათ“.

ახლა კი, მთავარ მოქმედ პირებზე ვთქვათ. მათგან, ჩვენი რწმენით, ორია გამოსაყოფი, ერთი აქედან და ერთიც იქიდან. მასპინძელთაგან ესაა ალექსანდრე კაიდარაშვილი, რომელიც ერთი თავით მაღალ რაღაცეებს აკეთებდა და „ამერის“ მომენტები რომ ჩამოვთვალოთ, უკლებლივ ყველაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.

რუსთაველთაგან აღსანიშნავი იყო მეკარე მინდია ბობლიაშვილი. ის ყოველ კუთხურზე ღონივრად და ზუსტად გამოდიოდა, ყოველ და ყოველნაირ დარტყმულს უყოყმანოდ, საკუთარი თავის რწმენით ხვდებოდა.

სხვა მხრივ კი, შეიძლება ითქვას, რომ თამაში საინტერესო ბრძოლაში მიილია, იყო მონაკვეთები, როდესაც მწვავე მომენტები სჭარბობდა, თუმცა იყო მონაკვეთები, როდესაც მაყურებელი ფეხბურთელებისგან მეტი ფანტაზიის, ფინტის, პასის, დარტყმის ან რამის გამოვლენას ელოდა.

გოლი მე-40 წუთზე გიორგი მიქაძის დარტყმით გავიდა. მიქაძემ ბურთი საჯარიმოს გარეთ მიიღო, იგრძნო, რომ მასპინძლებს იმ მომენტში სივრცე და სიმტკიცე ცოტა არეული ჰქონდათ და კარგი, ოსტატური დარტყმით დაუმიზნა მეკარისგან მარჯვენა კუთხეს.

„ამერის“ ფორვარდებს, უპირველესად კი მამუკა რუსიას თავისი წილი ორი ეპიზოდის გამოყენება მართებდა. 21-ე და 29-ე წუთებზე მან კაიდარაშვილის პასები საგოლეზე საგოლე სიტუაციებში მიიღო, მაგრამ ხელი მოეცარა.

„ამ გამარჯვების შემდეგ ვგრძნობ, რომ უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის რეალურად შეიძლება ბრძოლა. რუსთავს ძლიერი გუნდი უნდა ჰყავდეს“ — თქვა პრესკონფერენციაზე ვარლამ კილასონიამ.



ამერელთაგან საუკეთესომ, ალექსანდრე კაიდარაშვილმა თანაგუნდელებს ბევრი ხელსაყრელი მომენტი შეუქმნა

**თსუ 1:0 მილანი**

**ქობულეთი 4:2 მეტალურგი**

**ივერია 2:0 ოლიმპი**

**ლუკა 0:3 ვიტ ჯორჯია მცხ.**

**გურია 1:0 დინამო 2**

**ცხინვალი 0:1 სამგურალი**

**ლოკომოტივი 2 0:1 ჩიხურა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 22 | 14 | 2 | 6 | 42:22 | 44 |
| სამგურალი | 22 | 13 | 5 | 4 | 30:12 | 44 |
| რუსთავი | 22 | 12 | 3 | 7 | 30:23 | 39 |
| ოლიმპი | 22 | 11 | 5 | 6 | 30:21 | 38 |
| დინამო 2 | 22 | 11 | 4 | 7 | 51:27 | 37 |
| მილანი | 22 | 10 | 5 | 7 | 24:16 | 35 |
| ცხინვალი | 22 | 10 | 5 | 7 | 33:18 | 35 |
| ჩიხურა | 22 | 10 | 3 | 9 | 25:23 | 33 |
| ამერი | 22 | 9 | 6 | 7 | 25:19 | 33 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 22 | 8 | 8 | 6 | 24:16 | 32 |
| გურია | 22 | 9 | 4 | 9 | 26:28 | 31 |
| თსუ | 22 | 8 | 6 | 8 | 34:23 | 30 |
| ივერია | 22 | 8 | 5 | 9 | 18:30 | 29 |
| ლოკომოტივი 2 | 22 | 6 | 1 | 15 | 14:46 | 19 |
| ლუკა | 22 | 4 | 1 | 17 | 15:44 | 13 |
| მეტალურგი | 22 | 1 | 1 | 20 | 11:64 | 4 |

საქართველოს უმაღლესი ლიგა · ჩემპიონატი 15 · მეორე ეტაპი · 5 ტური

| | |
|---|---|
| სიონი 1:1 თბილისი | სპარტაკი 3:2 ტორპედო |
| დინამო 5:0 დილა | კოლხეთი 2:0 ბათუმი |
| ლოკომოტივი 0:1 ვიტ ჯორჯია | მცხეთა 2:0 მერცხალი |



ჩვენი ფეხბურთის ჩაუქრობელი მაყალი: გინება, აყალმაყალი

# ვიცი, ჰიპოკრატეს ფიცი იცი

ოზურგეთის „მერცხალის" უფულობა უფულობად და, გუნდს ექიმიც არ ჰყავს. ორიოდე წლის წინ საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე ერთ-ერთ კლუბს საამსაქმოდ ასეთი მეთოდი ჰქონდა: იმ ექიმის ნაცვლად, რომელიც გუნდს არ ჰყავდა, დაშავებულ ფეხბურთელთან ადმინისტრატორი თუ ბურთმაისურების მეთვალყურე გარბოდა და იარას წყლიანი ბოთლით „უშუშებდა". „მერცხალს" კი სხვა გზა აურჩევია. გუშინწინდელ მატჩში მცხეთელების მიერ დაშავებულ ოზურგეთელებს მცხეთელებივე არჩენდნენ.

ქართულ ფეხბურთში სააქიმო ჯერაც ბევრია.



# ქომაგური ქიცმაცური

მწვრთნელი, ფეხბურთელი, კლუბის პატრონი, ჟურნალისტი — ყველა გულშემატკივრისთვის შრომობს და თუ ქომაგი სტადიონზე არ დადის, მათი გარჯა ფუჭია.

ბოლნისში ფეხბურთი ძალიან და თავისებურად უყვართ და ძალიან კარგია, თუ იქ სტუმართა გუნდის მხარდამჭერებიც ჩავლენ. ასე იყო „სიონ"—„თბილისის" მატჩში — დიდ-პატარა თბილისელები რამდენიმე ავტობუსით მიადგნენ თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონს, მედროშეებიც ჰყავდათ, მესაყვირენიც და მომღერლებიც.

ზოგადად, ქომაგს რას გაუგებს კაცი, მაგრამ ამდენი გინება და აგრესია რა მოსაწონია — „სიონის" გულშემატკივრები „თბილისის" სათადარიგოთა სკამს მიაწყდნენ და ატყდა ბილწი სიტყვების გაცვლა-გამოცვლა.

„სიონი" და „თბილისი" მოწინავე ქართული გუნდები არიან, ევროტურნირებზე თამაში რომ სწადიათ. ევროპულ ფეხბურთში კი ასეთი ტენდენციაა — სტადიონზე გულშემატკივრები ოჯახებით უნდა დადიოდნენ...



# MADE BY MILCHENKO

## კიდევ ერთი სილაგავა

თითქმის ყოველ ტურში ახალგაზრდა მსაჯების უმაღლესლიგური დებიუტია. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო უკვე თამამად ენდობა ახალბედა არბიტრებს. დებიუტანტი ამ ტურსაც ჰყავდა: „მცხეთა"—„მერცხალი" ლაშა სილაგავამ განსაჯა, წარსულში ცნობილი მსაჯის, ელგუჯა სილაგავას ვაჟმა.



დიდ-პატარა თბილისელები ბოლნისის ქუჩებში

# აბურდული უკან იყოს, დაწყობილი წინ

ლადო ბურდულმა 25 იანვარს ესენგეს თასის ფინალში ითამაშა „დინამოს" შემადგენლობაში და იმ გამარჯვების შემდეგ საქმეები აერია ეროვნული ნაკრების მარჯვენაფლანგელს. არადა, თითქოს ყველაფერი კარგად იყო — ბურდული კიევის „დინამომ" წაიყვანა და კონტრაქტს ხელმოსაწერად ბევრიც არაფერი აკლდა, ტრავმა რომ მიიღო. ნატკენმა კოჭმა ბურდულის უკრაინულ გრანდში გადასვლას ხელი შეუშალა, ლადოც თბილისურ „დინამოს" დაუბრუნდა და თითქმის სამთვიანი უქმობის შემდეგ „დილასთან" მატჩში 15 წუთით მოირგო ძველი მაისური. ბურდული ჯერაც შორსაა ჩვეული ფორმისგან, თუმც მონდომება ემჩნევა





ბოლნისური კურიოზი: ბურთი იქ და ისე გაიჭედა, სანამ არ დაჩუტეს, ვერ გამოიღეს

# დევაძეს სამი გამოცდა დარჩა





**საინტერესო** ამბავი იყო: ფეხბურთში მობრუნებული და ნაკრებში დაბრუნებაზე მოფიქრალი მეკარე აკაკი დევაძე ნაკრების მეკარეთა მწვრთნელ ოთარ გაბელიას წინაალმდეგ. გამოცდა არ გამოვიდა. გაბელიას „ტორპედომ" „სპარტაკის" კარისკენ იმდენჯერ და ისე ვერ დაარტყა, დევაძეს გაბელიასთვის თავი მოეწონებინა. ამიტომ მეკარე მწვრთნელს ვერ დააჯერებდა —. ასეთ დარტყმულებს დევაძე თავის დროზე თვალდახუჭული იღებდა. თუმცა ეგ არაფერი, დევაძეს გაბელიას დასანახად ხვალაც, თასზეც მოუწევს თამაში და ამ სეზონში კიდევ ორჯერ.

## სიმბოლური ნაკრები

- გიორგი ადამია — ვიტ ჯორჯია
- მიხეილ ბოგოხიძე — დინამო
- გოჩა ხოჯავა — თბილისი
- ლაშა ჯანგიძე — სპარტაკი
- ალეკო გოგობერიშვილი — დინამო
- გიორგი ნემსაძე — დინამო
- დავით ოდიკაძე — თბილისი
- ლევან სილაგაძე — დინამო
- დავით ქიქავეიშვილი — სიონი
- ლაშა დონდოლაძე — სპარტაკი
- სოსო გრიშიკაშვილი — თბილისი

გუნდი: თბილისი

მწვრთნელი: ივო შუშაკი

## I-VI ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 5:1 | 31 |
| დინამო | 5 | 1 | 2 | 2 | 9:6 | 30 |
| თბილისი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:4 | 27 |
| ლოკომოტივი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:7 | 19 |
| დილა | 5 | 0 | 2 | 3 | 0:12 | 19 |

## VII-XII ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 27 |
| ბათუმი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | 22 |
| მცხეთა | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 21 |
| კოლხეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 18 |
| სპარტაკი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 15 |
| მერცხალი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:7 | 6 |

## მომდევნო ტური

24 აპრილი, შაბათი
დილა – თბილისი
სიონი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – დინამო

24 აპრილი, შაბათი
მერცხალი – ტორპედო
კოლხეთი – მცხეთა
25 აპრილი, კვირა
სპარტაკი - ბათუმი

## ინგლისი

**პრემიერლიგა. XXXIV ტური**

**არსენალი 5:0 ლიდსი**

1:0 პირესი (6), 2:0, 3:0, 4:0, 5:0 ანრი (27, 33პ, 50, 67)

**არსენალი:** ი. ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, კ. ტურე, კლიში, ვილტორდი, ჟილბერტო სილვა (ედუ 69), ვიეირა, პირესი (პარლოუ 72), ანრი, ბერხკამპი (რეიესი 72)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

**ლიდსი:** პ. რობინსონი, გ. კელი, დაბერი, ს. კოლდუელი, ჰარტი, პენანტი, რადებე (ბარმბი 72), მატეო, მილნერი, ვიდუკა (საიმონ ჯონსონი 84), ა. სმიტი
მწვრთნელი: ედი გრეი
მსაჯი: გალაჰერი
38 094 მაყურებელი

**ჩელსი 0:0 ევერტონი**

**ჩელსი:** ამბროზიო, გალასი (მელხიოტი 25), დესაი, ჰათი, ბრიჯი, ჯერემი, ლამპარდი, პარკერი (ოლივეირა 79), ჯ. კოული (გრონკიაერი 79), ჰასელბაინკი, მუტუ
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

**ევერტონი:** მარტინი, პისტონე, ვეირი, იობო, ნეისმიტი, მაკფადენი (კარსლი 56), ლინდეროტი, გრავესენი (უოტსონი 85), კილბეინი, რუნი, რაძინსკი (ჯეფერსი 77)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
მსაჯი: პოლი
41 169 მაყურებელი

**პორტსმუთი 1:0 მანჩესტერ იუნ.**

1:0 სტოუნი (36)

**პორტსმუთი:** ჰისლოპი, პრიმუსი, სტეფანოვიჩი, დე ზეუვი, სტოუნი, ფეიე, სმერტინი, ბერკოვიჩი (ქვოში 46), მეთიუ ტეილორი, ლუა ლუა (შერინგემი 79), აიეგბენი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

**მანჩესტერ იუნ:** კეროლი, გ. ნევილი, ვ. ბრაუნი, მ. სილვესტრი, ოში (ფლეტჩერი 74), ბათი (ბელიონი 89), სქოულზი, ჯემბა-ჯემბა (კ. რონალდო 58), გიგზი, სოლსკიაერი, საჰა
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: შერინგემი, ტეილორი, ნევილი
მსაჯი: ბერი
20 140 მაყურებელი

**ლივერპული 0:0 ფულემი**

**ლივერპული:** დუდეკი, კარაგერი, ჰიპია, ანშო, რიისე, შმიცერი (დიუფი 76), ჰამანი, ჯერარდი, კიუელი (ჰესკი 76), ოუენი, შეირუ (ბაროში 60)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე

**ფულემი:** ვან დერ სარი, ვოლცი, პირსი, გომა, ბოკანეგრა (ინამოტო 77), მალბრანკი, ლეგვინსკი, ჯეტუ, პეტა (რემანი 89), ბოა მორტე, კ. ჯონი (მაკბრაიდი 74)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: ბოკანეგრა, ჯონი, გომა
მსაჯი: ბენეტი
42 042 მაყურებელი

**ჩარლტონი 1:1 ბირმინგემი**

0:1 მორისონი (84), 1:1 ჰოლანდი (86)

**ჩარლტონი:** კაილი, იანგი, ჰრეიდარსონი, ჯ. ფორჩუნი, კ. პაუელი, კიშიშევი (კ. კოული 61), ჰოლანდი, კ. იენსენი, კონჩესკი, ჯ. იოჰანსონი (იუელი 75), ბარტლეტი (დი კანიო 46)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, მარტინ ტეილორი, კანინგემი, აშსონი, კლეპამი, დ. ჯონსონი, სევიჯი, კლემენსი, ბ. ჰიუზი, ფორსელი (ს. ჯონი 90), მორისონი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: იანგი
მსაჯი: ფოი
25 206 მაყურებელი

# ლიდსის საჭიდაო



პორტსმუთი — მანჩესტერ იუნაიტედი. ბებერმა სტივ სტოუნმა „მანჩესტერი" შინ უქულოდ გაუშვა

REUTERS პორტსმუთიდან

**ბოლტონი 2:0 ტოტენჰემი**

1:0 კამპო (7), 2:0 პედერსენი (65)

**ბოლტონი:** იასკელაინენი, ჰანტი (ბერნესი 76), ნგოტი, ტომე, ჩარლტონი, კამპო, ნოლანი, ჯორკაეფი (იანაკოპულოსი 87), ოკოჩა (ფრანდსენი 86), პედერსენი, კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი

**ტოტენჰემი:** კელერი, ს. კელი, დოჰერტი, ე. გარდნერი, კინგი, ს. დევისი (მ. რიკეტსი 82), რედნაპი (რობი კინი 61), მ. ბრაუნი, პოიეტი (ტარიკო 46), დეფო, კანუტე
მწვრთნელი: დევიდ პლიტი
გაფრთხილება: კამპო, დევისი, ტარიკო
მსაჯი: უინტერი
26 440 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 1:3 საუთჰემპტონი**

0:1 ბიტი (34), 0:2 ფილიპსი (55), 1:2 ანელკა (78), 1:3 ფილიპსი (81)

**მანჩესტერ სიტი:** ჯეიმსი, ჟიხაი, რ. დანი, დისტინი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, ბოსველტი (კ. რეინა 61), სიბიერსკი, მაკმანამანი (ტ. სინკლერი 11), ანელკა, ფაულერი (ვანჩოპე 60)
მწვრთნელი: კევინ კიგანი

**საუთჰემპტონი:** ნიემი, ტელფერი, ლუნდეკვამი, ჰიგინბოთემი, ლე სო, პრატონი, ფოლი, დელაპი, პახარსი (ა. სვენსონი 84), ფილიპსი, ბიტი (ჰალი 89)
მწვრთნელი: პოლ სტაროკი
გაფრთხილება: დანი, ბიტი
მსაჯი: ბარბერი
47 152 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:0 ლესტერი**

1:0 დაბიზასი (42ს.კ.)

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნაილი, ლ. ამორუზო, შორტი, გრეშკო, ანდრესენი (ემერტონი 68), ფლიტკროფტი, თუგაი, დუგლასი, ენდი კოული, სტიდი
მწვრთნელი: გრემ სუნესი

**ლესტერი:** უოქერი, ფ. სინკლერი, დაბიზასი, ჰითი (კანერო 78), ტეტჩერი, სკოუკროფტი, მაკინლი (ფროინდი 46), იზეტი, მ. ბენტი, ლ. ფერდინანდი (გაპი 63), დიკოვი
მწვრთნელი: მიკი ადამსი
გაფრთხილება: ამორუზო, დუგლასი, მაკინლი
მსაჯი: სტაილზი
22 749 მაყურებელი

**ვულვერჰემპტონი 2:0 მიდლსბრო**

1:0 კორტი (28), 2:0 კამარა (62)

**ვულვერჰემპტონი:** პ. ჯოუნსი, კლაიდი (ირვინი 62), ბატლერი, ოკორონკვო, ნეილორი, ნიუტონი (რაე 86), ინსი, კამერონი, კენედი, ა. კამარა, კორტი
მწვრთნელი: დეივ ჯონსი

**მიდლსბრო:** შვარცერი, მილსი, ეჰიოგუ, რიგოტი, კედრუ (გ. რიკეტსი 73), მენდიეტა, ბოატენგი, ზენდენი, ჟუნინიო პაულისტა, მაკარონე, ნემეტი (ჯობი 60)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ინსი, კედრუ, რიგოტი
მსაჯი: დურსო
27 975 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:0 ნიუკასლი**

**ასტონ ვილა:** სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, იონსენი (რიდგუელი 88), ჯ. სამუელი, ჰენდრი, ბერი, სოლანო (უიტინგემი 69), ჰიცლშპერგერი, ვასელი, კრუჩი (ოლბოკი 62)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი

**ნიუკასლი:** გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, ვუდგეიტი, ბერნარი, დაიერი, ჯენასი (ვიანა 35), სპიდი, რობერი (ბოიერი 35), შირერი, ბელამი (ბრიჯისი 52)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: დე ლა კრუზი, შირერი, სპიდი, ბრიჯისი, გივენი
გაძევება: ობრაიენი (10)
მსაჯი: ნაითი
40 786 მაყურებელი

საქმე ისე წავიდა, რომ პრემიერლიგის წლევანდელი ჩემპიონობისთვის აღარავინ, უფრო სწორად კი, ველარავინ იბრძვის. რაც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალს უწია, „ჩელსიმ" ზედიზედ მესამე ტურია, თამაში ვერ მოიგო. „მანჩესტერის" თავკაცმა კი სახალხოდ გამოაცხადა, ჩვენ მეორე ადგილისთვის და ასოციაციის თასისთვის ვიბრძვითო.

ამ ტურში „ჩელსი" „ევერტონს" დაუზავდა უგოლო მატჩში, თუმცა ფრენკ ლამპარდმა ძელსაც მოარტყა ბურთი, ნაიჯელ მარტინმა კი ადრიან მუტუსა და ჯიმის ზედიზედ აუღო ძნელი ბურთები. ეს თამაში რომ მოეგო, რანიერის გუნდი ერთბაშად ექვსი ქულით გაუსწრებდა თამაშნაკლულ „მანჩესტერს" იმ სამეორეადგილო ბრძოლაში, თუმცა, ვერც „ჩელსიმ" მოიგო და „მანჩესტერიც" საერთოდ დამარცხდა პორტსმუთში. ასე რომ, მეორე ადგილისთვის თითქმის ისეთივე ბრძოლა მიმდინარეობს, როგორიც პირველისთვის. საქმე ახლა უფრო მეოთხე ადგილია, რომლისთვისაც სულის მღაფავი „ლივერპული" „ნიუკასლს", „ასტონ ვილას" და „ჩარლტონს" ეჭიდავება და ვერც ეჭიდავება.

„არსენალმა" კი ჯერ კიდევ პარასკევს მოსრა „ლიდსი" (5:0), ოთხი გოლი კი ტიერი ანრიმ გაიტანა. არსენ ვენგერი უკვე თითქმის ჩემპიონის რანგში ლაპარაკს და ანრის მსოფლიოს სამთაგან ერთ საუკეთესო თავდამსხმელს უწოდებს: „ყველამ იცის, რომ ანრიზე ლაპარაკობს, მისი ცქერა ჯობს. თუ გუნდი ანრის ტალღაზეა მიმართული, მოგეცა ლხენა. წლეულს მან დიდებული ფეხბურთი ითამაშა".

„ლიდსის" დამარცხებამ თითქოსდა გამოკვეთა პრემიერლიგისგან გაწირული გუნდები. „ვულვზმა" როგორც იქნა, მოიგო, თუმცა, მაინც ბოლო ადგილზე დარჩა და მხოლოდ ქულებით გაუსწორდა „ლესტერს", რომელსაც ბევრის გადამწყვეტი თამაში ჰქონდა ბლექბერნში. გრემ სუნესმა რომ დაატყო, გასავარდნ სამეულს ვუახლოვდებით, ზედიზედ მეორედ აიღო სამი ქულა. თამაშის ბედი პირველი ტაიმის მიწურულს გადაწყდა, როცა ნიკოს დაბიზასმა საკუთარ კარში ჩაჭრა ენდი კოულის კროსი. ამით „ბლექბერნი" მე-15 ადგილზე აცოცდა, მე-16 კი „პორტსმუთმა" დაიჭირა, რომელმაც უბერებელი სტივ სტოუნის გოლით „მანჩესტერი" დაამარცხა.

საერთოდ, ამ ტურში ყველაფერი ისე აეწყო, რომ სადღეისოდ, ბოლო ექვსეულის ყველაზე კარგ და დასანანად გვიან გამოფხიზლებულ გუნდს, „ლიდსს" საქმეები შავად წასვლოდა. „ბლექბერნი" და თამაშნაკლული „პორტსმუტი" 5-5 ქულით მოშორდნენ იორკშირელებს და ედი გრეის ერთადერთი იმედი ახლა „მანჩესტერ სიტიმთან" ჭიდაობაა.

კევინ კიგანი საავადმყოფოდან გამოეწერა და თითქოს მხოლოდ იმისთვის, რომ მორიგი მწარე მარცხი ეწვნია შინაურ კედლებში. „საუთჰემპტონმა" შანსების გამოყენების გაკვეთილი ჩაუტარა „სიტის", ერთის საპასუხოდ სამი გოლი გაუტანა. მარტო ნიკოლა ანელკამ იმდენი და ისე უნდილად ააცილა, რომ ერთბაშად ძნელად დაითვლიდი. ამ დროს კი ჯეიმს ბიტიმ და კევინ ფილიპსმა, რაც მოახერხეს, ზუსტად, მოახერხეს.

„სიტი" კი მე-17 და ორი ქულით თუღა უსწრებს „ლიდსს". იორკშირელთა შანსიც ესაა. იქეთ უქმეებზე გადამწყვეტი თამაშებია: „ლესტერი" „სიტის" მასპინძლობს, „ლიდსი" კი „პორტსმუთს".

ირაკლი ბაქურაძე

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 29 |
| შირერი (ნიუკასლი) | 21 |
| საჰა (ფულემი/მანჩესტერ იუნ.) | 19 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 18 |

**XXXV ტური**

24 აპრილი

| | |
|---|---|
| ბირმინგემი | ვულვზი |
| ევერტონი | ბლექბერნი |
| ფულემი | ჩარლტონი |
| ლიდსი | პორტსმუთი |
| ლესტერი | სიტი |
| მანჩესტერი | ლივერპული |
| მიდლსბრო | ასტონ ვილა |
| ნიუკასლი | ჩელსი |
| საუთჰემპტონი | ბოლტონი |
| ტოტენჰემი | არსენალი |

**პირველი დივიზიონი**

**I დივიზიონი. XLIII ტური**

**ბრედფორდი 2:3 უიმბლდონი**

0:1 კამარა (5), 0:2 სმიტი (32), 0:3 გრეი (50), 1:3 სენესი (72), 2:3 კადამარტერი (75)

**კარდიფი 2:0 ბარნლი**

1:0 ლონგლი (78), 2:0 კემპბელი (80)

**კრისტალ პალასი 1:1 უიგანი**

0:1 ელინგტონი (45), 1:1 გრენვილი (79)

**დერბი ქაუნთი 5:1 პრესტონი**

1:0 მანელი (2), 2:0, 3:0 ტუდგეი (27, 32), 4:0 მანელი (37), 4:1 მავენი (55ს.კ.), 5:1 ხუნიორი (76)

**ჯილინგემი 1:2 იფსვიჩი**

1:0 ჰილსი (8), 1:1 როიზერი (62), 1:2 დ. ბენტი (67)

**ნორვიჩი 5:0 უოლსოლი**

1:0 ფრენსისი (2), 2:0 მაკკენზი (45), 3:0 სვენსონი (51), 4:0 ჰაკერბი (73), 5:0 სვენსონი (86)

**ნოტინგემი 2:2 მილუოლი**

0:1 ლაივმორი (46), 1:1 რიდი (55), 2:1 ჯონსონი (70), 2:2 ჩედვიკი (84)

**რედინგი 1:1 ქრიუ**

1:0 კიტსონი (10), 1:1 ლანტი (39)

**როტერჰემი 1:1 უოტფორდი**

1:0 ბატლერი (4), 1:1 დაიერი (24)

**შეფილდ იუნ. 0:1 სტოკი**

0:1 კლარკი (45)

**ვესტ ჰემი 2:0 ქოვენთრი**

1:0 ზამორა (37), 2:0 კონოლი (71)

**სანდერლენდი 0:1 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 კუმასი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვიჩი | 42 | 25 | 10 | 7 | 71:34 | 85 |
| ვესტ ბრომვიჩი | 42 | 24 | 11 | 7 | 61:35 | 83 |
| სანდერლენდი | 41 | 20 | 11 | 10 | 58:40 | 71 |
| იფსვიჩი | 43 | 21 | 8 | 14 | 81:68 | 71 |
| უიგანი | 43 | 18 | 15 | 10 | 59:43 | 69 |
| ვესტ ჰემი | 43 | 17 | 16 | 10 | 60:44 | 67 |
| მილუოლი | 42 | 17 | 15 | 10 | 53:43 | 66 |
| შეფილდი | 43 | 19 | 9 | 15 | 60:52 | 66 |
| კრ. პალასი | 42 | 18 | 10 | 14 | 64:57 | 64 |
| რედინგი | 43 | 18 | 10 | 15 | 53:56 | 64 |
| კარდიფი | 43 | 17 | 11 | 15 | 64:54 | 62 |
| სტოკი | 42 | 16 | 11 | 15 | 52:52 | 59 |
| ქოვენთრი | 43 | 15 | 13 | 15 | 59:50 | 58 |
| პრესტონი | 43 | 15 | 12 | 16 | 62:63 | 57 |
| ქრიუ | 43 | 14 | 10 | 19 | 53:59 | 52 |
| ნოტინგემი | 43 | 12 | 15 | 16 | 56:57 | 51 |
| უოტფორდი | 42 | 13 | 12 | 17 | 50:61 | 51 |
| როტერჰემი | 43 | 12 | 14 | 17 | 47:57 | 50 |
| დერბი | 43 | 12 | 13 | 18 | 51:65 | 49 |
| უოლსოლი | 43 | 12 | 12 | 19 | 42:61 | 48 |
| ბარნლი | 42 | 11 | 14 | 17 | 56:72 | 47 |
| ჯილინგემი | 43 | 13 | 8 | 22 | 44:61 | 47 |
| ბრედფორდი | 43 | 10 | 6 | 27 | 38:64 | 36 |
| უიმბლდონი | 42 | 7 | 4 | 31 | 38:84 | 25 |

**მეორე დივიზიონი**

**XLIII ტური**

ბლეკპული — შეფილდ უენსდი 4:1; ბარნსლი — ბრენტფორდი 0:2; ბორნმუთი — ტრანმერი 1:5; ბრაიტონი — პიტერბრო 1:0; კოლჩესტერი — რექსემი 3:1; გრიმსბი — რაშდენი 1:0; ჰარტლპული — ნოტსი 4:0; ლუტონი — ბრისტოლი 3:2; ოლდემი — პლიმუთი 4:1; პორტ ვეილი — ჩესტერფილდი 1:1; ქუინზ პარკი — სტოკპორტი 1:1; უიკომბი — სუინდონი 0:3

**მესამე დივიზიონი**

**XLIII ტური**

ბოსტონი — მენსფილდი 1:2; როვერსი — სუონსი 2:1; კემბრიჯი — კიდერმინსტერი 0:0; კარლაილი — ლინკოლნი 0:2; დარლინგტონი — ოქსფორდი 2:0; ჰადერსფილდი — სკანთორპი 3:2; მაკლსფილდი — ჰალი 1:1; ნორთჰემპტონი — საუთენდი 2:2; როჩდეილი — ლეიტონი 3:0; ტორკი — დონკასტერი 1:0; იოვილი — ბერი 2:1; იორკი — ჩელტენემი 0:2

**კონფერენს ლიგა**

**XLI ტური**

აკრინგტონი — გრეივსენდი 3:3; ჩესტერი — სკარბორო 1:0; დაგენემი — ჰალიფაქსი 0:1; ფარნბორო — ბარტონი 2:1; ფორესტ გრინი — ალდერშოტი 3:1; ლეი — ჰერეფორდი 0:5; ნორსვიჩი — ბარნეტი 1:1; შრიუსბერი — სტივენეიჯი 3:1; ტემუორთი — ექსეტერი 2:1; უოქინგი — ტელფორდი 3:1; მარგეიტი — მორეკემბი 1:1

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 33 | 24 | 9 | 0 | 67:22 | 45 | 81 | 17 | 14 | 3 | 0 | 38:13 | 25 | 45 | 16 | 10 | 6 | 0 | 29:9 | 20 | 36 |
| 2 ჩელსი | 34 | 22 | 6 | 6 | 60:26 | 34 | 72 | 17 | 10 | 4 | 3 | 29:12 | 17 | 34 | 17 | 12 | 2 | 3 | 31:14 | 17 | 38 |
| 3 მანჩესტერი | 33 | 21 | 5 | 7 | 59:32 | 27 | 68 | 16 | 11 | 3 | 2 | 34:13 | 21 | 36 | 17 | 10 | 2 | 5 | 25:19 | 6 | 32 |
| 4 ლივერპული | 34 | 13 | 11 | 10 | 48:36 | 12 | 50 | 17 | 9 | 3 | 5 | 26:14 | 12 | 30 | 17 | 4 | 8 | 5 | 22:22 | 0 | 20 |
| 5 ნიუკასლი | 33 | 12 | 14 | 7 | 45:33 | 12 | 50 | 17 | 10 | 4 | 3 | 30:12 | 18 | 34 | 16 | 2 | 10 | 4 | 15:21 | -6 | 16 |
| 6 ასტონ ვილა | 34 | 13 | 10 | 11 | 44:40 | 4 | 49 | 17 | 8 | 6 | 3 | 23:17 | 6 | 30 | 17 | 5 | 4 | 8 | 21:23 | -2 | 19 |
| 7 ჩარლტონი | 33 | 13 | 9 | 11 | 44:41 | 3 | 48 | 17 | 6 | 5 | 6 | 25:26 | -1 | 23 | 16 | 7 | 4 | 5 | 19:15 | 4 | 25 |
| 8 ბირმინგემი | 34 | 12 | 11 | 11 | 40:42 | -2 | 47 | 17 | 8 | 4 | 5 | 24:19 | 5 | 28 | 17 | 4 | 7 | 6 | 16:23 | -7 | 19 |
| 9 საუთჰემპტონი | 33 | 12 | 9 | 12 | 38:33 | 5 | 45 | 16 | 8 | 4 | 4 | 19:11 | 8 | 28 | 17 | 4 | 5 | 8 | 19:22 | -3 | 17 |
| 10 ფულემი | 34 | 12 | 9 | 13 | 46:44 | 2 | 45 | 17 | 8 | 4 | 5 | 27:20 | 7 | 28 | 17 | 4 | 5 | 8 | 19:24 | -5 | 17 |
| 11 მიდლსბრო | 34 | 12 | 9 | 13 | 40:42 | -2 | 45 | 17 | 7 | 4 | 6 | 22:20 | 2 | 25 | 17 | 5 | 5 | 7 | 18:22 | -4 | 20 |
| 12 ბოლტონი | 34 | 11 | 11 | 12 | 40:51 | -11 | 44 | 17 | 5 | 8 | 4 | 20:18 | 2 | 23 | 17 | 6 | 3 | 8 | 20:33 | -13 | 21 |
| 13 ევერტონი | 34 | 9 | 12 | 13 | 42:47 | -5 | 39 | 17 | 8 | 5 | 4 | 26:17 | 9 | 29 | 17 | 1 | 7 | 9 | 16:30 | -14 | 10 |
| 14 ტოტენჰემი | 34 | 11 | 5 | 18 | 42:54 | -12 | 38 | 17 | 8 | 3 | 6 | 30:25 | 5 | 27 | 17 | 3 | 2 | 12 | 12:29 | -17 | 11 |
| 15 ბლექბერნი | 34 | 10 | 7 | 17 | 48:57 | -9 | 37 | 17 | 4 | 3 | 10 | 23:30 | -7 | 15 | 17 | 6 | 4 | 7 | 25:27 | -2 | 22 |
| 16 პორტსმუთი | 33 | 10 | 7 | 16 | 37:47 | -10 | 37 | 16 | 9 | 2 | 5 | 28:16 | 12 | 29 | 17 | 1 | 5 | 11 | 9:31 | -22 | 8 |
| 17 სიტი | 34 | 7 | 13 | 14 | 47:50 | -3 | 34 | 17 | 3 | 9 | 5 | 25:23 | 2 | 18 | 17 | 4 | 4 | 9 | 22:27 | -5 | 16 |
| 18 ლიდსი | 34 | 8 | 8 | 18 | 35:69 | -34 | 32 | 17 | 5 | 6 | 6 | 21:26 | -5 | 21 | 17 | 3 | 2 | 12 | 14:43 | -29 | 11 |
| 19 ლესტერი | 34 | 5 | 13 | 16 | 41:59 | -18 | 28 | 17 | 2 | 9 | 6 | 15:26 | -11 | 15 | 17 | 3 | 4 | 10 | 26:33 | -7 | 13 |
| 20 ვულვზი | 34 | 6 | 10 | 18 | 33:71 | -38 | 28 | 17 | 6 | 5 | 6 | 21:32 | -11 | 23 | 17 | 0 | 5 | 12 | 12:39 | -27 | 5 |

## გერმანია

ბუნდესლიგა. XXIX ტური

**შალკე 2:3 ლევერკუზენი**

0:1 ბერბატოვი (30), 1:1 დელურა (56), 1:2 შნაიდერი (72), 1:3 ბუტი (76პ), 2:3 ჰანკე (77)

შალკე: ჰაიმეროტი, კ. პოულსენი (ლამოტე 63), კლასენერი, ვან კერკჰოვენი, კობიაშვილი, დელურა, ჰამიტ ალტინტოპი, ვერმანტი (გლიდერი 87), ბიომე, ასამოა (ჰანკე 66), სანდი

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, ჟუანი, ბალიტჩი, რამელო, ბაბიჩი, ბ. შნაიდერი, ბაშტურქი (ბიროფკა 70), ფრანცა (ნოივილი 85), ბერბატოვი

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: ბიომე, ბალიტჩი, ბერბატოვი

მსაჯი: კესლერი

61 266 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 4:0 ფრაიბურგი**

1:0 ფრანცი (10), 2:0 ბაიანო (20), 3:0 შარპეი (47), 4:0 კლიმოვიჩი (68)

ვოლფსბურგი: იენჩი, რაიტერი, ფრანცი, შნოორი, ვაიზერი, შარპეი, კარჰანი, დალესანდრო (პონტე 75), ბაიანო (პრგოვიჩი 60), კლიმოვიჩი, პრეგერი (მენსეგეში 53)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

ფრაიბურგი: რაინარდი, ცქიტიშვილი, ბ. დიარა, ოლაიენგბეში (ბაირამოვიჩი 35), ბერნერი, რიტერი (ა. ცაიერი 63), ჰერმელი, კულიბალი (კრუპკე 71), ანტარი, კაირო, სანუ

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

გაფრთხილება: პრეგერი, პრგოვიჩი, ოლაიენგბეში, კრუპკე

გაძევება: ანტარი (33)

მსაჯი: ფროილიხი

16 276 მაყურებელი

**დორტმუნდი 2:0 ბაიერნი**

1:0 ევერტონი (55პ), 2:0 ვიორნსი (62)

დორტმუნდი: ვარმუზი, დემელი (ოდონკორი 46), ბერგდოლმო, ვიორნსი, ნ. იენსენი, როსიცკი (ლეანდრო 79), კელი, დედე, გამბინო (სენესიე 88), კოლერი, ევერტონი

მწვრთნელი: მათიას ზამერი

ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, კუფური, იერემისი, თ. ლინკე, შვაინსტაიგერი (კ. პიზარო 65), ჰარგრივსი, ბალაკი, ზე რობერტო (ტროხოვსკი 84), მაკაი, სანტა კრუზი (დემიკელისი 87)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: დედე, ბალაკი, კუფური, ბალაკი, იერემისი

გაძევება: ბალაკი (68)

მსაჯი: მერკი

83 000 მაყურებელი

**შტუტგარტი 3:1 აინტრახტი**

1:0 კურანი (44), 2:0 გლები (50), 3:0 ბორდონი (80), 3:1 შური (85)

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ლამი, მეირა, ბორდონი, ჰ. გერბერი, მაისნერი, სოლდო, ა. გლები (ტიფერტი 84), ჰ. იაკინი (ჰელდტი 61), კურანი, სტრელერი (კაკაუ 53)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

აინტრახტი: ნიკოლოვი, გიუნტერი, პულიზი, კრისი, ბიურგერი (დრაგუშა 66), პროისი, შური, ჩა (ლექსა 66), შკელა, კროიცი (ფრომერი 77), ბაიერლე

მწვრთნელი: ვილი რაიმანი

გაფრთხილება: კრისი

მსაჯი: შტაინბორნი

48 000 მაყურებელი

**მიუნხენი 1:2 ჰამბურგი**

0:1 ფერნანდო (65ს.კ.), 0:2 მაჰდავიკია (79), 1:2 აგოსტინო (87)

# ჰიცფელდმა მერკს ნასტვენი დაუწუნა

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, შტრანცლი, ფერნანდო, ტ. ჰოფმანი, საარინენი (შაო 70), გიორლიცი, ბაიერი (შროტი 62), რ. მაიერი, ტისი, აგოსტინო, ლაუტი (დევიდსი 18)

მწვრთნელი: ფალკო გიოტცი

ჰამბურგი: ვიახტერი, ფუკალი, ჰოოგმა, უიფალუში, ვიკი, რაინჰარდტი, ბენჟამინი, იაროლიმი (მაჰდავიკია 60), რანი (ჰოლერბახი 82), რომეო (ვ. გლები 60), ბარბარესი

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

გაფრთხილება: ბაიერი, შტრანცლი, ტისი, ჰოოგმა, ბენჟამინი, ბარბარესი

მსაჯი: კემლინგი

26 400 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 3:2 ჰანზა**

1:0 ბიელიცა (32), 2:0 ხრისტოვი (36). 2:1, 2:2 რიდლევიჩი (38, 71პ), 3:2 ლოკვენცი (75)

კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ვენცელი, კნავსი, რიდლი, მალცი, ბიელიცა, ნურმელა, მ. ხრისტოვი, დომინგეში (ჩატო 86), ლოკვენცი, ჰალილ ალტინტოპი (მეტომო 65)

მწვრთნელი: კურტ იარა

ჰანზა: შობერი, მიორლე, პერსონი (მეგლე 84), კ. მადსენი, ლანცი, ტიკუზე, რიდლევიჩი, პლასნეგერი, მაული (არვიდსონი 78), დი სალვო (პრიკა 46), მაქსი

მწვრთნელი: იური შლიუნცი

გაფრთხილება: ვენცელი, ბიელიცა, ტიკუზე, დი სალვო, მიორლე

გაძევება: პლასნეგერი (21)

მსაჯი: შმიდტი

34 884 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 1:1 ჰერტა**

0:1 პინტუ (9), 1:1 ულიხი (86)

მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი (კლუგე 79), პლეტჩი, შტრასერი, კარნელი, ულიხი, გაედე, ჰაუსვაილერი (ვან ჰუტი 60), დემო (კოლკა 72), სვერკოში, ვან ლენტი

მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი

ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი (ჩაჰედი 46), შიმუნიჩი, ფატი, დარდაი, მადლუნგი, პინტუ, მარსელინიო, ნოინდორფი (გოორი 80), რაფაელი (ვიშნიარეკი 28)

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

გაფრთხილება: ჰაუსვაილერი, შტრასერი, მარსელინიო, მადლუნგი, დარდაი, შიმუნიჩი

მსაჯი: მაიერი

34 500 მაყურებელი

**ვერდერი 0:0 ჰანოვერი**

ვერდერი: რაინკე, სტალტერი, ისმაელი, კრსტაიჩი (ლაგერბლომი 60), შულცი, ფ. ბაუმანი, ლისტეში, ფ. ერნსტი, მიკუ, აილტონი (ხარისტიასი 72), კლასნიჩი (ნ. ვალდესი 72)

მწვრთნელი: თომას შააფი

ჰანოვერი: ციგლერი, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი (თ. შნაიდერი 81), დე გუზმანი, ლალა, დაბროვსკი, კლებერი (შრიოტერი 63), მატისი (შულერი 87), იდრისუ, ბრდარიჩი

მწვრთნელი: ევალდ ლინენი

გაფრთხილება: ისმაელი, შულცი, მატისი

მსაჯი: ალბრეხტი

43 000 მაყურებელი

**კიოლნი 1:2 ბოხუმი**

0:1 ვოში (30), 1:1 პოდოლსკი (54), 1:2 ფარენჰორსტი (64)

კიოლნი: ვესელსი, ო. შრიოდერი, დოგანი, სიხონე, ვოიგტი, გრუიჩი, კრინგე, სინკალა, შერცი (ლეიანი 83), ფედერიკო (სტრაიტი 74), პოდოლსკი

მწვრთნელი: მარსელ კოლერი

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, პ. ბიონიგი (მაიხელბეკი 61), სტევიჩი, ცდებელი, ვოში (ფ. ტაპალოვიჩი 80), ფრაიერი, პ. მადსენი, ჰაშემიანი (ბაკლი 61)

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

გაფრთხილება: შრიოდერი, ვოიგტი, მადსენი, ვოში, ფრაიერი

მსაჯი: ვაკი

43 500 მაყურებელი

დორტმუნდული მატჩის შემდეგ ჰიცფელდი მარკუს მერკის შეცდომებს უჩიოდა, ზამერი კი დამსახურებულ გამარჯვებაზე ლაპარაკობდა.

ერთი სიტყვით, შეხვედრის შედეგი მსაჯის გადაწყვეტილებამ სადავო გახადა.

საქმე ისაა, რომ ჰასან სალიჰამიჯიჩმა ბურთისთვის ბრძოლაში სალვატორე გამბინო წააქცია, ბოსნიელმა მთლად სუფთად ვერ ითამაშა, ცოტა გამბინომაც გააფორმა, მერკმა კი პენალტი დანიშნა.

თერთმეტმეტრიანი საჯარიმო ევერტონმა გამოიყენა, ხოლო ამ მომენტიდან ხუთიოდ წუთში კრისტიან ვიორნსმა მეორე გაიტანა.

პირველ ტაიმში მასპინძლებზე უკეთ მოთამაშე „ბაიერნი" გაშვებული გოლებისგან აირია. სტუმრები ანერვიულდნენ, მიხაელ ბალაკი კი გამბინოსთან უხეშობისთვის მეორე ყვითელი ბარათით მსაჯმა გააძევა. კაცნაკლულებმა დარჩენილ დროში ველარაფერი მოახერხეს. ამ მარცხით მიუნხენელთა საჩემპიონო შანსი კიდევ უფრო შემცირდა.

„ბაიერნის" წაგებაზე ხელი ფელიქს მაგათმა მოითბო. „შტუტგარტს" მისავათებული „აინტრახტი" პირველი ტაიმის მიწურულამდე გაუძალიანდა. მცველებისგან მიტოვებულმა კევინ კურანიმ ანგარიში შესვენებამდე წუთით ადრე გახსნა, ხოლო ალექსანდრ გლებმა მეორე ნახევრის დასაწყისში იხეირა. მარსელო ბორდონის გვიან გოლს სტუმარმა შურმა ერთით უპასუხა. „შტუტგარტმა" „ბაიერნთან" სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა. ფელიქს მაგათს ახლა პრეტენზია აქვს მეორე ადგილზე, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში გუნდს პირდაპირ გაიყვანს.

ერიკ გერეტსის ხელქვეით „ვოლფსბურგმა" პირველი გამარჯვება იზეიმა. „მგლები" მეოცე წუთისთვის ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ, ფრაიბურგელი როდა ანტარის გაძევების შემდეგ კი მასპინძლებს საქმე გაუიოლდათ. მეორე ტაიმში ჯერ შარპეიმ შეაგდო, მერე კლიმოვიჩმა და „ფრაიბურგი" დიდი ანგარიშით დამარცხებას ვერ ასცდა.

გელზენკირხენში ექვსწლიანი ტრადიცია გაგრძელდა. „ხუმარებს" უკვე ექვსი სეზონია შინ „ბაიერთან" მოგება ენატრებათ. დიმიტარ ბერბატოვმა ანგარიში გახსნა, იენს ნოვოტნიმ კი საკუთარ კარში გატანილით გაათანაბრა.

„ფარმაცევტებმა" მეორე ნახევარში კარგი სამწუთიანი მონაკვეთი გამოაცხვეს. შნაიდერმა „ბაიერი" კვლავ დააწინაურა, სტუმართა მეკარემ კი პენალტი გაიტანა.

„მიუნხენ 1860"-ის მწვრთნელი ფალკო გიოტცი „ჰამბურგთან" მარცხს გადააყოლეს. კლუბის ახალმა პრეზიდენტმა ჰანს ზეჰეტმაირმა მას გარჯა დაუწუნა და ნამატჩევს უმუშევრად დატოვა. გიოტცი ამ სეზონში მერვე გათავისუფლებული მწვრთნელია. თომას შააფს სამსახურის დაკარგვა ნაღდად არ ემუქრება, მაგრამ „ჰანოვერთან" გუშინდელმა უგოლო ფრემ ალბათ, „ვერდერს" ძალიან დასწყვიტა გული: „ბაიერნის" წაგების მერე ბრემენელებს საპირველადგილო პოზიციის კიდევ სამი ქულით გამყარება შეეძლოთ.

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS

მარკუს მერკს ოლივერ კანიც გაექაჩა



REUTERS

ფალკო გიოტცი უმუშევარი დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეორე ბუნდესლიგა

XXIX ტური

**აუე 1:0 კოტბუსი**

1:0 იანკი (68)

აუე: ჰანელი, ნოვესკი, ემერიხი, იენდროშეკი, მ. ჰაიდრიხი, ჩიპევი, ტრენკოპფი (რემი 19), ტოპმიოლერი, კური (კურტი 77), იუსკოვიაკი, იანკი (შუბითიძე 74)

მსაჯი: კოოპი

16 500 მაყურებელი

**უნიონი 3:5 ნიურნბერგი**

0:1 სანე (26), 0:2 ვიტეკი (41), 1:2 ბრუნსი (45), 1:3 მინტალი (45), 2:3 სირაძე (72), 3:3 ბაუმგარტი (75), 3:4 მინტალი (81), 3:5 ვიტეკი (85)

უნიონი: ვულნიკოვსკი, კოჟაკი, მოლატა (სირაძე 27), პეიგი, პფუდერერი (ოკეკე 46), პიაცი, სობოტჩიკი (პოპოვი 62), სანდმანი, ბრუნსი, ბაუმგარტი, კეიტა

მსაჯი: იანსენი

8 500 მაყურებელი

**რეგენსბურგი 1:1 ობერჰაუზენი**

1:0 ფინკი (30), 1:1 ტოკოდი (41)

**ლიუბეკი 2:2 კარლსრუე**

1:0 ახენბახი (44), 2:0 აჯიჩი (55), 2:1 კეისი (71), 2:2 ეგიმენი (82)

**დუისბურგი 1:0 ბურგჰაუზენი**

1:0 ბუგერა (85)

**ტრირი 0:0 ოსნაბრიუკი**

**ფიურტი 3:1 მაინცი**

1:0 ბოდოგი (34ს.კ.), 2:0 როსლერი (43), 2:1 ფ. გერბერი (62), 3:1 ფაინბერი (73)

**უნტერჰახინგი 0:0 ალენი**

**არმინია — ალემანია**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 29 | 15 | 7 | 7 | 57:36 | 52 |
| არმინია | 28 | 14 | 6 | 8 | 42:29 | 48 |
| კოტბუსი | 29 | 13 | 8 | 8 | 42:35 | 47 |
| ალემანია | 28 | 13 | 7 | 8 | 46:41 | 46 |
| ობერჰაუზენი | 29 | 13 | 7 | 9 | 42:39 | 46 |
| აუე | 29 | 11 | 9 | 9 | 38:33 | 42 |
| დუისბურგი | 29 | 11 | 8 | 10 | 42:36 | 41 |
| მაინცი | 29 | 9 | 14 | 6 | 36:32 | 41 |
| ფიურტი | 29 | 9 | 11 | 9 | 47:43 | 38 |
| კარლსრუე | 29 | 10 | 8 | 11 | 34:39 | 38 |
| ლიუბეკი | 29 | 9 | 10 | 10 | 42:46 | 37 |
| რეგენსბურგი | 29 | 9 | 10 | 10 | 35:42 | 37 |
| უნტერჰახინგი | 29 | 9 | 9 | 11 | 34:39 | 36 |
| ტრირი | 29 | 9 | 8 | 12 | 40:47 | 35 |
| ალენი | 29 | 9 | 7 | 13 | 29:40 | 34 |
| ბურგჰაუზენი | 29 | 8 | 8 | 13 | 31:36 | 32 |
| უნიონი | 29 | 7 | 7 | 15 | 36:45 | 28 |
| ოსნაბრიუკი | 29 | 7 | 6 | 16 | 29:44 | 27 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

XXVII ტური

ზანკტ პაული — შალკე (მ) 2:0; ბრაუნშვაიგი — ლაიპციგი 1:0; დინამო — პადერბორნი 2:1; ჰამბურგი (მ) — ესენი 0:4; ნოიმიუნსტერი — ვერდერი (მ) 1:4; მიუნსტერი — კილი 2:1; იურდინგენი — კიოლნი (მ) 2:1; ვატენშაიდი — დორტმუნდი (მ) 3:0; ვუპერტალი — ქემნიცი 1:2

## სამხრეთ რეგიონალლიგა

XXVII ტური

ელვერსბერგი — აალენი 1:1; პფულენდორფი — ერფურტი 2:1; აუგსბურგი — ზაარბრიუკენი 3:0; ეშბორნი — ბაიერნი (მ) 2:2; ფოიხტი — მაინცი (მ) 2:1; ჰოფენჰაიმი — შვაინფურტი 4:3; ოფენბახი — ზიგენი 5:2; კაიზერსლაუტერნი (მ) — კიკერსი 2:1; შტუტგარტი (მ) — ვეჰენი 0:0

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვერდერი | 29 | 20 | 7 | 2 | 67:28 | 39 | 67 | 15 | 10 | 4 | 1 | 34:15 | 19 | 34 | 14 | 10 | 3 | 1 | 33:13 | 20 | 33 |
| 2 ბაიერნი | 29 | 17 | 8 | 4 | 63:32 | 31 | 59 | 14 | 11 | 3 | 0 | 39:16 | 23 | 36 | 15 | 6 | 5 | 4 | 24:16 | 8 | 23 |
| 3 შტუტგარტი | 29 | 16 | 9 | 4 | 46:18 | 28 | 57 | 15 | 8 | 6 | 1 | 25:11 | 14 | 30 | 14 | 8 | 3 | 3 | 21:7 | 14 | 27 |
| 4 ლევერკუზენი | 29 | 15 | 7 | 7 | 59:36 | 23 | 52 | 14 | 9 | 1 | 4 | 36:18 | 18 | 28 | 15 | 6 | 6 | 3 | 23:18 | 5 | 24 |
| 5 ბოხუმი | 29 | 13 | 9 | 7 | 48:34 | 14 | 48 | 14 | 9 | 4 | 1 | 24:5 | 19 | 31 | 15 | 4 | 5 | 6 | 24:29 | -5 | 17 |
| 6 დორტმუნდი | 29 | 14 | 6 | 9 | 49:36 | 13 | 48 | 15 | 10 | 3 | 2 | 32:14 | 18 | 33 | 14 | 4 | 3 | 7 | 17:22 | -5 | 15 |
| 7 შალკე | 29 | 11 | 10 | 8 | 40:35 | 5 | 43 | 15 | 5 | 7 | 3 | 21:15 | 6 | 22 | 14 | 6 | 3 | 5 | 19:20 | -1 | 21 |
| 8 ჰამბურგი | 29 | 11 | 6 | 12 | 39:50 | -11 | 39 | 14 | 8 | 3 | 3 | 25:18 | 7 | 27 | 15 | 3 | 3 | 9 | 14:32 | -18 | 12 |
| 9 ჰანზა | 29 | 9 | 8 | 12 | 45:44 | 1 | 35 | 14 | 7 | 1 | 6 | 25:16 | 9 | 22 | 15 | 2 | 7 | 6 | 20:28 | -8 | 13 |
| 10 ვოლფსბურგი | 29 | 11 | 1 | 17 | 50:57 | -7 | 34 | 15 | 10 | 0 | 5 | 36:24 | 12 | 30 | 14 | 1 | 1 | 12 | 14:33 | -19 | 4 |
| 11 ფრაიბურგი | 29 | 9 | 7 | 13 | 38:58 | -20 | 34 | 15 | 9 | 2 | 4 | 28:24 | 4 | 29 | 14 | 0 | 5 | 9 | 10:34 | -24 | 5 |
| 12 ჰანოვერი | 29 | 8 | 9 | 12 | 44:55 | -11 | 33 | 14 | 4 | 6 | 4 | 24:25 | -1 | 18 | 15 | 4 | 3 | 8 | 20:30 | -10 | 15 |
| 13 გლადბახი | 29 | 8 | 8 | 13 | 32:41 | -9 | 32 | 14 | 5 | 6 | 3 | 16:13 | 3 | 21 | 15 | 3 | 2 | 10 | 16:28 | -12 | 11 |
| 14 ლაუტერნი | 29 | 10 | 4 | 15 | 32:50 | -18 | 31 | 14 | 7 | 3 | 4 | 19:14 | 5 | 24 | 15 | 3 | 1 | 11 | 13:36 | -23 | 10 |
| 15 მიუნხენი | 29 | 8 | 6 | 15 | 29:46 | -17 | 30 | 15 | 5 | 2 | 8 | 14:23 | -9 | 17 | 14 | 3 | 4 | 7 | 15:23 | -8 | 13 |
| 16 ჰერტა | 29 | 6 | 11 | 12 | 29:52 | -23 | 29 | 14 | 3 | 6 | 5 | 14:21 | -7 | 15 | 15 | 3 | 5 | 7 | 15:31 | -16 | 14 |
| 17 აინტრახტი | 29 | 7 | 5 | 17 | 29:45 | -16 | 26 | 15 | 4 | 4 | 7 | 19:22 | -3 | 16 | 14 | 3 | 1 | 10 | 10:23 | -13 | 10 |
| 18 კიოლნი | 29 | 5 | 5 | 19 | 24:46 | -22 | 20 | 15 | 5 | 2 | 8 | 17:21 | -4 | 17 | 14 | 0 | 3 | 11 | 7:25 | -18 | 3 |

*„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 25 |
| მაკაი (ბაიერნი) | 22 |
| მაქსი (ჰანზა) | 16 |
| ჰაშემიანი (ბოხუმი) | 14 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 13 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 13 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 13 |

**XXX ტური**

24 აპრილი

გლადბახი — ვოლფსბურგი
ჰერტა — ლაუტერნი
აინტრახტი — ფრაიბურგი
ჰანოვერი — შტუტგარტი
ბოხუმი — ვერდერი
ჰამბურგი — კიოლნი
ბაიერნი — მიუნხენი
ლევერკუზენი — დორტმუნდი
ჰანზა — შალკე

# პენალტი კბილის წილ

## იტალია

### სერია A. XXX ტური

**სიენა 1:2 მილანი**

0:1 შევჩენკო (26), 1:1 კიეზა (38პ), 1:2 კაკა (80)
სიენა: ფორტინი, ჩირილო (მენეგაცო 82), ჟუარესი, მინანი, კუფრე, ტადეი, ვერგასოლა, დავერსა, გიგუ, კიეზა (ვენტოლა 78), ტ. ფლო (ლაზეტიჩი 73)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, გატუზო (ბროკი 88), პირლო, ამბროზინი, რუი კოშტა (ბორიელო 73), კაკა (სერჟინიო 84), შევჩენკო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: მინანი, პირლო, ბორიელო, ვენტოლა, ვერგასოლა, მენეგაცო, შევჩენკო, ვერგასოლა
გაძევება: ვერგასოლა (78)
მსაჯი: კოლინა
13 090 მაყურებელი

**პარმა 2:2 იუვენტუსი**

1:0 კარბონე (35), 1:1 დი ვაიო (78), 2:1 ჯილარდინო (80), 2:2 ტუდორი (90)
პარმა: ს. ფრეი, ბონერა, მ. კასტელინი, მ. ფერარი, პ. კანავარო, ბარონე, ბლაზი (მორფეო 81), მარკიონი, კარბონე (დონადელი 69), ბრეშიანო, ჯილარდინო (კამარატა 83)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ლეგროტალიე, იულიანო, პესოტო (დი ვაიო 46), ტაკინარდი (ტუდორი 14), აპია, მარესკა (მიკოლი 58), ნედვედი, ძამბროტა, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: კანავარო, ბონერა, ბლაზი, ტუდორი
მსაჯი: ტრეფოლონი
22 000 მაყურებელი

**ლაციო 4:2 ანკონა**

0:1 ბუკი (11), 1:1 კოუტუ (12), 1:2 ანდერსონი (64), 2:2 ფიორე (73), 3:2 კოუტუ (81), 4:2 ძაური (89)
*ინძაგიმ ვერ გაიტანა პენალტი (34, მეკარე)*
არადა, ხომ გახსოვთ, თავიდან ყველაფერი როგორ მიდიოდა: ბექემებმა ხაზგასმით ერთად, ოჯახურად დაისვენეს და პრესის გავრცელებულ ხმებს სისულელე უწოდეს, მაგრამ ვაი, რომ ეს ბრიტანულ ყვითელი პრესა შეიძლება უკადრებელს კადრულობს, მაგრამ ტყუილს არასოდეს.

საინტერესო ამბავი მოხდა ხუთშაბათს. რებეკამ „სქაიზე“ პირდაპირ ეთერში მოყვა თავისი და დევიდის თავგადასავალი. იმ წუთებში მთელი ბრიტანეთი სწორედ ამ არხს უცქერდა, ყველას მანდეთ ჰქონდა გადართული, თუმცა იყო ერთი ადამიანი, ვიქტორია პოშ ადამსბექემი, რომელიც მთელი ჭორიკანა მსოფლიოს ჯინაზე შვეიცარიის ქალაქ თუ დაბა ვერბიერში ბარში იჯდა და როგორც ამბობენ, მამისეული ოჯახის წევრებთან თუ ნათესავებთან ერთად სვამდა.

შემდეგ კი ერთმა ნათესავმა „ნიუზ ოფ ზი უორლდის“ ჟურნალისტებს სრულიად საიდუმლოდ უთხრა, რომ ამ დროს ვიქტორიას ბინაში მარტო დატოვებული, მაგრამ დაპროგრამებული ვიდეო, გადაცემას ფირზე იწერდა.

**პაპუნა ძიდია**



სარა მარბეკი



რებეკა ლოსი

## უკრაინა
### პრემიერლიგა. XXI ტური

არსენალი — შახტარი 0:0; ჩერნომორეცი — კრივბასი 3:0; ვოლინი — დნიპრო 2:2; ტავრია — მეტალურგი (ზ) 2:0; ვორსკლა — ბორისფენი 1:1; მეტალურგი (დ) — კარპატი 0:0; ილიჩევეცი — ზირკა 1:0; დინამო — ობოლონი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 16 | 4 | 1 | 46:14 | 52 |
| შახტარი | 21 | 14 | 4 | 3 | 39:16 | 46 |
| დნიპრო | 21 | 12 | 6 | 3 | 34:16 | 42 |
| მეტალურგი (დ) | 21 | 9 | 7 | 5 | 33:23 | 34 |
| ჩერნომორეცი | 21 | 8 | 10 | 3 | 27:21 | 34 |
| ობოლონი | 21 | 8 | 6 | 7 | 19:22 | 30 |
| არსენალი | 21 | 7 | 7 | 7 | 24:22 | 28 |
| ილიჩევეცი | 21 | 6 | 7 | 8 | 22:30 | 25 |
| ვოლინი | 21 | 6 | 5 | 10 | 18:27 | 23 |
| ბორისფენი | 21 | 6 | 5 | 10 | 13:22 | 23 |
| ვორსკლა | 21 | 5 | 7 | 9 | 16:28 | 22 |
| მეტალურგი (ზ) | 21 | 5 | 6 | 10 | 15:24 | 21 |
| კრივბასი | 21 | 5 | 6 | 10 | 15:26 | 21 |
| ტავრია | 21 | 4 | 8 | 9 | 12:18 | 20 |
| კარპატი | 21 | 4 | 6 | 11 | 16:24 | 18 |
| ზირკა | 21 | 2 | 8 | 11 | 11:27 | 14 |

## ჩეხეთი
### გამბრინუსლიგა. XXVI ტური

ოპავა — სლავია 0:0; ზლინი — პლზენი 3:1; ბუდეიოვიცე — ლიბერეცი 2:1; იაბლონეცი — ბლშანი 2:1; სიგმა — სინოტი 1:0; პრჟიბრამი — ბანიკი 0:3; ტეპლიცე — ბრნო 2:1. სპარტა — ჟიჟკოვი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 26 | 15 | 9 | 2 | 53:21 | 54 |
| სიგმა | 26 | 14 | 7 | 5 | 39:19 | 49 |
| სლავია | 26 | 13 | 7 | 6 | 35:17 | 46 |
| სპარტა | 25 | 12 | 9 | 4 | 38:20 | 45 |
| სინოტი | 26 | 11 | 5 | 10 | 34:32 | 38 |
| ზლინი | 25 | 11 | 5 | 9 | 28:27 | 38 |
| ბუდეიოვიცე | 26 | 10 | 6 | 10 | 32:33 | 36 |
| ლიბერეცი | 25 | 8 | 9 | 8 | 24:22 | 33 |
| ტეპლიცე | 26 | 7 | 12 | 7 | 27:28 | 33 |
| იაბლონეცი | 26 | 6 | 14 | 6 | 23:28 | 32 |
| პრჟიბრამი | 26 | 8 | 6 | 12 | 28:34 | 30 |
| ბრნო | 26 | 7 | 8 | 11 | 31:38 | 29 |
| ოპავა | 26 | 7 | 7 | 12 | 27:43 | 28 |
| ჟიჟკოვი | 25 | 5 | 8 | 12 | 15:26 | 23 |
| ბლშანი | 26 | 6 | 5 | 15 | 28:49 | 23 |
| პლზენი | 26 | 4 | 7 | 15 | 20:45 | 19 |

## პოლონეთი
### I ლიგა. XIX ტური

ამიკა — სვიტი 2:2; ლეჩნა — ოდრა 0:1; გურნიკი — პლოცკი 1:1; პოლონია — კატოვიცე [illegible]; ვისლა — ლეგია 1:0; პოლკოვიცე — გროცლინი 0:3; ლეხი — ვიძევი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 19 | 15 | 1 | 3 | 53:24 | 46 |
| ლეგია | 19 | 12 | 5 | 2 | 36:14 | 41 |
| ამიცა | 19 | 12 | 4 | 3 | 37:18 | 40 |
| გროცლინი | 19 | 10 | 4 | 5 | 46:19 | 34 |
| პლოცკი | 19 | 7 | 7 | 5 | 32:31 | 28 |
| ლეჩნა | 19 | 8 | 3 | 8 | 19:29 | 27 |
| გურნიკი | 19 | 6 | 7 | 6 | 19:23 | 25 |
| ოდრა | 19 | 7 | 4 | 8 | 22:29 | 25 |
| კატოვიცე | 19 | 6 | 4 | 9 | 15:32 | 22 |
| ლეხი | 19 | 5 | 6 | 8 | 32:29 | 21 |
| პოლონია | 19 | 4 | 7 | 8 | 18:31 | 19 |
| ვიძევი | 19 | 2 | 7 | 10 | 19:31 | 13 |
| სვიტი | 19 | 2 | 6 | 11 | 15:33 | 12 |
| პოლკოვიცე | 19 | 3 | 3 | 13 | 13:33 | 12 |

## ავსტრია
### მაქსბუნდესლიგა XXXI ტური

ადმირა — კერნტენი 1:1; გრაცერი — მატერსბურგი 1:0; რაპიდი — ბრეგენცი 0:0; ზალცბურგი — შტურმი 0:0; პაშინგი — აუსტრია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 31 | 18 | 8 | 5 | 53:22 | 62 |
| გრაცერი | 31 | 18 | 8 | 5 | 52:28 | 62 |
| რაპიდი | 30 | 14 | 9 | 7 | 44:36 | 51 |
| პაშინგი | 31 | 13 | 11 | 7 | 48:38 | 50 |
| ბრეგენცი | 31 | 10 | 10 | 11 | 39:45 | 40 |
| ადმირა | 31 | 9 | 9 | 13 | 35:41 | 36 |
| მატერსბურგი | 31 | 8 | 9 | 14 | 30:46 | 33 |
| ზალცბურგი | 31 | 9 | 4 | 18 | 37:40 | 31 |
| შტურმი | 31 | 6 | 10 | 15 | 31:45 | 28 |
| კერნტენი | 30 | 5 | 10 | 15 | 26:54 | 25 |

### I დივიზიონი. XXX ტური

ლეობენი — ლუსტენაუ 1:1; რიდი — კაპფენბერგი 5:1; ვიორგლი — ლინცერი 2:1; უნტერზიბენბრიუნი — ტიროლი 1:2; აუსტრია (ლ) — ბლაიბერგი 3:2

## საბერძნეთი
### ეროვნული ლიგა. XXVI ტური

აკრატიტოსი — იონიკოსი 3:0; პროდეფტიკი — აეკ 2:4; ხალკიდონა — ეგალეო 0:1; პანილიაკოსი — კალითეა 0:5; პანიონიოსი — არისი 2:1; ქსანთი — ოფი 1:0; ირაკლისი — პაოკ 3:0; პანათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 26 | 20 | 5 | 1 | 52:15 | 65 |
| ოლიმპიაკოსი | 26 | 20 | 3 | 3 | 61:18 | 63 |
| პაოკ | 26 | 17 | 5 | 4 | 43:22 | 56 |
| ეგალეო | 26 | 14 | 6 | 6 | 34:21 | 48 |
| აეკ | 26 | 13 | 6 | 7 | 49:28 | 45 |
| ხალკიდონა | 26 | 12 | 6 | 8 | 36:32 | 42 |
| პანიონიოსი | 26 | 10 | 10 | 6 | 35:25 | 40 |
| ირაკლისი | 26 | 11 | 5 | 10 | 37:35 | 38 |
| ქსანთი | 26 | 8 | 6 | 12 | 26:35 | 30 |
| ოფი | 26 | 7 | 6 | 13 | 24:39 | 27 |
| იონიკოსი | 26 | 6 | 5 | 15 | 26:39 | 23 |
| კალითეა | 26 | 4 | 10 | 12 | 32:37 | 22 |
| არისი | 26 | 5 | 5 | 16 | 19:42 | 20 |
| პანილიაკოსი | 26 | 4 | 7 | 15 | 26:52 | 19 |
| აკრატიტოსი | 26 | 4 | 7 | 15 | 27:60 | 19 |
| პროდეფტიკი | 26 | 3 | 8 | 15 | 20:47 | 17 |


სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით





ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...

სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...

საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49



გიო ახვლედიანის

სვეტი

# ფეხბურთზე ვილაპარაკოთ

ამ კვირაში ხმაურიანი ამბები ბლომად იყო ერთი კვირის და ქართული სპორტის პირობაზე, რა თქმა უნდა, რაგბის კავშირის ყრილობა, რომელიც მგონი მესამედ ჩატარდა და მოჭადრაკეთა მასპინძლობის ამბავი, რაც მთლიანად პოლიტიკურ საბურველში გახვეული რამეა და გასაკვირიც არ არის. სარაგბო არჩევნების ისტორია არ არის პოლიტიკური ამბავი, ჭადრაკისა — პირიქით.

წლების წინათ, ჩემი პირველი სვეტი ამ გაზეთში კირსან ილუმჟინოვზე დავწერე, ყალმუხთა მეფესა და მსოფლიო ჭადრაკის უფროსზე. ეს იმიტომ გამახსენდა, რომ იმ დღეს ილუმჟინოვი ტელევიზორში დავინახე, ბათუმში ჩასული. ვინ ვერ მიხვდებოდა, რომ ბათუმში სერიოზული საჭადრაკო შეჯიბრის ჩატარება ხმაურს და თბილისის პოლიტიკოსების მკაცრ ნაბიჯებს გამოიწვევდა? ყველა მიხვდებოდა. თბილისი ამბობს, რომ იქ ავტომატიანი ხალხია, ბათუმი კი ამბობს, რომ მონაწილეთა უსაფრთხოება გარანტირებულია. ვისიც უნდა, ბათუმს ყოველთვის შეუძლია იმის უსაფრთხოების დაცვა. თბილისს კი არ უნდა, რომ ბათუმს ვისიც უნდა იმის უსაფრთხოება დაიცვას, ვისიც არა კი არ დაიცვას. ბათუმმა არ შეუშვა ქვეყნის პრეზიდენტი, ახლა კი თბილისი ეცდება არ შეუშვას ბათუმში ჭადრაკი და არ შექმნას განწყობილება, რომ აი, იქ ყველაფერი ისე კოხტადაა, რომ საერთაშორისო შეჯიბრს ღიმილითა და სიუხვით მასპინძლობენ. რა შუაშია ამ საქმეში ჭადრაკი და სპორტი? ბათუმმა გამოიყენა ჭადრაკი, ახლა თბილისი იყენებს იმას, რომ ბათუმმა გამოიყენა ჭადრაკი.

ჩვეულებრივ, ასეთ დროს ამბობენ, რომ სპორტი პოლიტიკისგან განზე უნდა იდგეს, რაც, განსაკუთრებით ჩვენნაირ ქვეყანაში ძნელი მოსახერხებელია. საერთოდ კი, ეს ჭადრაკშია ძნელი მოსახერხებელი. თუნდაც იმიტომ, რომ აგერ გარი კასპაროვი სულ პოლიტიკაზე ლაპარაკობს, ფიდეს პრეზიდენტი ილუმჟინოვი კი რამდენი წელიწადია ყალმუხთა პრეზიდენტია. საერთოდაც ყველაზე საინტერესო პოლიტიკურ წიგნს „დიდი საჭადრაკო დაფა" ჰქვია და საერთოდაც არ მინდოდა ამაზე წერა და ამის გარჩევა, იმიტომ, რომ ამ საქმეში ჭადრაკი მხოლოდ მიზეზია და ის ბევრით არ განსხვავდება, ვთქვათ, ხულოს არჩევნებისაგან. ანუ ერთი არჩევნებს არ ატარებს, მეორე საჭადრაკო შეჯიბრს. კარგი იქნებოდა, ორივე ჩატარებულიყო, მაგრამ მგონი, არც ერთი არ ჩატარდება.

მე კი მინდოდა, ფეხბურთზე მელაპარაკა. საქართველოს ჩემპიონატი ახლა უკეთესი საცქერია, ვიდრე შარშან ამდროს იყო და საერთოდ, ერთგვარი პერსპექტივა ჩანს. ფეხბურთზე ლაპარაკი ყოველთვის ჯობს პოლიტიკაზე ლაპარაკს. ფეხბურთი ყოველთვის სჯობს პოლიტიკას.

იშვიათად, როცა ფეხბურთში პოლიტიკა გაერევა ხოლმე, ფეხბურთი სასაცილო ხდება. ალბათ, ჭადრაკიც. იმის მიუხედავად, რომ ჭადრაკი ძალიან ჭკვიანური თამაშია და უცხოპლანეტელი რომ მოხვდეს დედამიწაზე და მხოლოდ ჭადრაკი ნახოს, მიხვდება, რა ყოფილა ეს დედამიწა. ალბათ იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს ჭადრაკიც თამაშია.



## საქართველოს ჩემპიონატი

17 აპრილი. ვერის ბაღი

**ბასკო 95:82 მაკაბი**

23:24 24:18 22:20 26:20

ბასკო: ი. ბერიშვილი (17), ბ. ბერიშვილი (5), კეშელავა (5), ტუჯანი (13), ბერძენიშვილი (6); დ. ბერიშვილი (33), იმნაძე (9), როდუმტა (5), კვიმსაძე (1), ბოისა (1)

მაკაბი: ნინოშვილი (12), ბადრიძე (10), წოწელია (8), ვაშაკიძე (12), სუხიშვილი (28); კონჯარია (9), ერგემლიძე (3)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

18 აპრილი. ვერის ბაღი

**ბასკო 70:80 დინამო**

18:19 20:24 16:16 16:21

ბასკო: ბ. ბერიშვილი (3), ბოისა (11), კეშელავა, ტუჯანი (9), ბერძენიშვილი (12); დ. ბერიშვილი (11), ი. ბერიშვილი (8), იმნაძე (10), როდუმტა (4), კვიმსაძე (2)

დინამო: ჟღენტი (13), გოგობერიშვილი (9), კეიდია (6), კილაძე (5), აბულაძე (2); მუშკუდიანი (13), ჩუბინიძე (7), მინაშვილი (12), ხოშტარია (13), ლოსაბერიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე



„ბასკოს" დავით ბერძენიშვილი დინამოელ დავით მუშკუდიანს აელობა

# წაგებული ბასკო მოგებული დარჩა

## ბრაიკოვიჩმა მეოთხე ცდაზე გაიხარა

ირაკლი პერტაია

გუშინ ლიდერთა მატჩით რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა. ჩემპიონმა „დინამომ" ვიცე-ჩემპიონი „ბასკო" მესამე ცდაზე როგორც იქნა, დაამარცხა, თუმც ცხრილში მაინც ბათუმელთა უკან აღმოჩნდა.

„ბასკო" — „დინამო" თუნდაც სატურნირო ინტრიგისგან გაძარცული, ყოველთვის საინტერესო საყურებელია. ამ გუნდებს სხვებზე მეტად მოსძალებიათ თავმოყვარეობის განცდა და ერთმანეთთან ჯახში არაფერს იშურებენ გამარჯვებისთვის.

სეზონში ეს გუნდები მეოთხედ ხვდებოდნენ, თუმც ბრძოლას ცოტა განსხვავებული, უფრო სენტიმენტალური ელფერი დაჰკრავდა. მასპინძელი „ბასკო" იყო, თუმცა მატჩი ვერის ბაღში გაიმართა. პოლიტიკური კატაკლიზმებით გამოწვეულმა უსახსრობამ ბათუმელები საკუთარ ქალაქს გამოარიდა. ისინი ენთუზიაზმის ხარჯზე, გასამრჯელოს გარეშე აპირებენ ჩემპიონატის ჩამთავრებას.

რეგულარულ ჩემპიონატს რომ პირველ ადგილზე ჩაამთავრებდა, „ბასკომ" ეს კარგა ხნით ადრე იცოდა, მაგრამ მხოლოდ პირველობა ხომ არაა საქმე, ბათუმელები მათზე ათჯერ დალხენილი ჩემპიონების ძლევით აპირებდნენ პლეი ოფში გადაბიჯებას.

თავის მხრივ „დინამოს" უფრო დიდი მოტივაცია ჰქონდა. მიმდინარე ჩემპიონატში „ბასკო" ჯერ ვერ დაემარცხებინა და ნავსის გატეხვას მისთვის დიდი ფასი ჰქონდა. მოკლედ, სატურნირო უინტრიგობის მიუხედავად, მატჩი მეტად პრინციპული იყო. თამაშმაც გაამართლა, დაძაბულობა ბოლომდე არ დაჰკლებია, ყველაფერი ბოლო წუთებზე გადაწყდა, მანამდე კი...

გუნდებმა თავიდანვე დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს, რაც „ბასკოზე" უფრო ითქმის. ნუგზარ კანდელაკმა ისეთი მოთამაშეები გაიყვანა მოედანზე, ქულათა გროვებაზე უკეთ დაცვაში თამაში რომ ეხერხებათ. ყველაზე მოწადინებული კი ამ საქმეში ანატოლი ბოისა ჩანდა, რომელიც ლანდივით აჰყვა დინამოელთა ლიდერ რამაზ გოგობერიშვილს და პირველ მეოთხედში ხელი არ გაანძრევინა.

დასაწყისში ბათუმელთა დაცვითი ჯებირის გარღვევა არჩილ ჟღენტმა ითავა, რომელიც ინდივიდუალური მოქმედების ხარჯზე ხან აღწევდა მიზანს, ხან ვერა. ბათუმელებს კი შეტევაში დაცვაზე ორიენტირებული ბოისა გამოადგათ, რომელმაც საწყისი ქულები მოუხვეჭა „ბასკოს", მერე კი „დინამოს" ფარის გასაღები მაღლებს გადააბარა.

დავით ბერძენიშვილმა ხელი რომ გაიქნია, „ბასკო" მე-5 წუთისთვის 9:6 დააწინაურა, რის შემდეგაც დინამოელთა მეფარე დავით მუშკუდიანიც გამოფხიზლდა. მუშკუდიანმა ბრწყინვალედ ჩაითამაშა მცირე შესვენებამდე დარჩენილი დრო, მიჯრით 8 ქულა მიითვალა და ბრაიკოვიჩის გუნდი 19:13 გაალიდერა. თუმც ბოლო წუთზე ირაკლი ბერიშვილმა და მუშკუდიანის შესაჩერებლად გამოყვანილმა პლასიდე როდუმტამ იყოჩაღეს და „დინამომ" ოდენ ერთქულიანი ლიდერობით დაასრულა საწყისი მეოთხედი.

თამაში რომ განახლდა, ბევრიც არაფერი შეცვლილა მოედანზე, ეგაა, წამდაუწუმ იცვლებოდნენ მოთამაშეები. თვალში საცემ უპირატესობას ვერც ერთი გუნდი ვერ აღწევდა. უპოვნიდა ერთი სუსტ წერტილს, მეორე სხვა კომპონენტში აჯობებდა და ანგარიშიც თითქმის თანაბრად იზრდებოდა.

სამქულიანებზე ორივე გუნდი ჩასაფრებული იყო, თუმც აქაც ვერ გადაწონეს ერთმანეთი. თუ ერთ წუთში „ბასკოს" გაუმართლებდა, მეორეში „დინამოს" სროლები აღწევდნენ მიზანს. ეჭვი არ იყო, თამაშის ბედი ბოლო წუთებზე უნდა გადაწყვეტილიყო, რაკი ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვერც ერთმა გუნდმა 6 ქულაზე მეტი უპირატესობა ვერ მოიხელთა უკანასკნელ მეოთხედამდე.

მესამეს დარად, მეოთხე ათწუთეულიც „დინამოს" 5-ქულიანი ლიდერობით განახლდა. მოედანზე ახალგამოსულმა ვახტანგ მინაშვილმა ნაწილობრივ გააბათილა ბასკოელთა მანამდელი უპირატესობა ფარზე. სწორედ მინაშვილის გონებამახვილურ გარჯას მოჰყვა დინამოელთა 66:59 დაწინაურება. მერე იყო ბათუმელი დავით იმნაძის წუთიერი აფეთქება. „ბასკოს" ახალგაზრდა მეფარემ კარგად იმუშავა „დინამოს" სამწამიანში და თამაშის დასრულებამდე 6 წუთით ადრე თავისიანები მეტოქეს 3 ქულით მიაახლოვა.

მომდევნო წუთებში მიყოლებით გავარდნენ ბასკოელი ლაშა კეშელავა და დინამოელი ვალერი კილაძე, თუმც ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. თამაში იწურებოდა და ყველაფერს საშემსრულებლო ტექნიკა და იღბალი გადაწყვეტდა. „დინამომ" ბოლო წუთები უფრო მობილიზებულად ჩაატარა, ბრაიკოვიჩის შეგირდებს გადამწყვეტ მომენტში აღმოაჩნდათ მეტი სიზუსტე. მუშკუდიანის ორქულიანს მინაშვილმა სამიანიც მიაყოლა და საფინალო სირენამდე ორწუთნახევრით ადრე ყველაფერი გაირკვა — „დინამო" 10 ქულით დაწინაურებულიყო და რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულ „ბასკოს" აღარც დრო ჰქონდა ჩემპიონის წამოსაწევად და აღარც ილაჯი.

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 28 | 25 | 3 | +697 | 53 |
| დინამო | 28 | 23 | 5 | +637 | 51 |
| თსუ | 28 | 16 | 12 | +137 | 44 |
| რუსთავი | 28 | 16 | 12 | +168 | 44 |
| სტუ | 28 | 17 | 11 | +284 | 44 |
| მაკაბი | 28 | 11 | 17 | -125 | 39 |
| სსუ | 28 | 4 | 24 | -719 | 32 |
| ქუთაისი | 28 | 0 | 28 | -1079 | 28 |

*სტუ-ს დაკლებული აქვს 1 ქულა*



# ასწევს ასანიძე?



**დღეიდან** კვირის ბოლომდე კიევი ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ოლიმპიური ლიცენზიებისთვის მებრძოლთათვის ეს ტურნირი ბოლო შანსია. საგზურთა ოთხი მეხუთედი შარშან ვანკუვერის, მსოფლიოს ჩემპიონატზე გადანაწილდა, თუმც საქართველოს ნაკრები კანადაში საერთოდ არ წასულა. ლიდერ გიორგი ასანიძეს ტრავმა აწუხებდა. ახალგაზრდული გუნდით ასპარეზობას კი ქართული ძალოსნობის თავკაცებმა თბილისური სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება და აპრილისთვის უკეთ მომზადება არჩიეს.

შარშანვე ცნობილი გახდა, რომ სიდნეი 2000-ის შედეგი ათენში მიუღწეველი იქნებოდა. ავსტრალიაში საქართველოს ნაკრები სამი ძალოსნით გამოვიდა, საბერძნეთში კი საუკეთესო. შემთხვევაში ორ ადგილს უნდა დავჯერდეთ, თუმცა ჯერ ერთიც სანატრელია.

ევროპის ჩემპიონატზე ლიცენზიებს მხოლოდ გუნდური მედლები იძლევა. ჩემპიონი გუნდი ათენის ორ საგზურს მიიღებს, ხოლო მეორე-მესამე ადგილზე გასულები — თითოს. აღსანიშნავია, რომ გუნდურ ჩათვლაში უკვე ლიცენზიაგანაღდებულ ნაკრებთა შედეგებს ყურადღება აღარ მიექცევა.

წინასწარი გათვლებით, საქართველოს ნაკრების უმთავრესი კონკურენტები ესპანეთი, ლიტვა და ალბანეთი იქნებიან. ჩვენი გუნდი უკრაინაში სრული შემადგენლობით ჩავიდა. პარასკევს თბილისიდან 7 სპორტსმენი გაემგზავრა. პოლონეთში მოვარჯიშე გიორგი ასანიძე კი მათ პირდაპირ კიევში უნდა შეერთებოდა. ტრავმამოშუშებულ ოლიმპიურ პრიზიორს ჩვეული ფორმის დაბრუნებაში პირადი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი მიეხმარა.

ოთარ მაღლაკელიძე

### საქართველოს ნაკრები

| | |
|---|---|
| 56 კგ | ზვიად სამუკაშვილი<br>პაატა მოდებაძე |
| 62 კგ | თემურ ლომთაძე<br>ზაზა აბულაძე |
| 77 კგ | დავით პავლიაშვილი<br>თემურ ჩხეიძე |
| 85 კგ | გიორგი ასანიძე |
| 94 კგ | გია მაჭავარიანი |

# 2004 NBA Playoffs

*ნბა-ში ნაღდი საპლეიოფო მუხტით დაიწყო რეგულარულის შემდგომი ჯახები. ბევრს თვალებიდან ნაპერწკლებიც კი გადმოსცვივდა, იმდენად მაღალი დაძაბულობის დენი გადის მოედნებზე. პირველ დღეს სენსაცია არ მომხდარა. ფავორიტებმა უკლებლივ იმარჯვეს, თუმც მარტო ანგარიშებზე დახედვით ნუ ვიმსჯელებთ და მხოლოდ „ლეიკერს“ — „ჰიუსტონს“ ნუ გამოვაცხადებთ ომად: სხვა სერიებშიც კარგი ხორცსაკეპი მუშაობს*

## ფრთხილად, მაღალი ძაბვაა!

## ნიუ იორკს მეხი დაეცა

— 17 აპრილი —

**აღმოსავლეთი**

**ნიუ ჯერსი 1:0 ნიუ იორკი**

**ნიუ ჯერსი 107:83 ნიუ იორკი**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (14 ქულა, 13 პასი), კიტლზი (20), ჯეფერსონი (21), მარტინი (16 ქულა, 12 მოხსნა), კოლინზი (8); უილიამსი (12), სკალაბრინი (7), როჯერსი (5), ჰარისი (2), სლეი (2), არმსტრონგი, პლანინიჩი

**ნიუ იორკი:** მარბერი (13), ანდერსონი (4), ტ. ტომასი (12), კ. ტომასი (4), მუჰამედი (16); ჰარდევეი (18), სვიტნი (12), მუტომბო (2), უილიამსი (1), ბეიკერი (1), ჯონსონი

„ნეთსისა“ და „ნიქსის“ კეთილმეზობლური ურთიერთობა არასდროს ჰქონიათ და ეს სერია მათ შორის ხევს კიდევ უფრო გააღრმავებს. პლეი ოფში ჭიპმოჭრილმა „ნიუ ჯერსიმ“ პირველ მატჩში საკმაო სხვაობით მოუგო ძლიერებში სამი წლის შემდეგ დაბრუნებულ „ნიუ იორკს“, თუმც თავის დარხევების საფუძველი ნაღდად არა აქვს — „ნიქსიც“ ისწავლის ბინძურ საპლეიოფო ილეთებს.

პირველი კვეთა კი „ნიუ ჯერსისა“ იყო. ჯერ მეორე მეოთხედში „ნეთსის“ ლიდერმა ჯეისონ კიდმა მიაჩუმა „ნიქსის“ მეორე გამთამაშებელი ფრენკ უილიამსი, ბოლო მეოთხედში კი მასპინძელთა ვეება ცენტრმა ჯეისონ კოლინზმა გარღვევაზე წასულ ტიმ ტომასს ისეთი სთხლიშა, რომ ნიუიორკელი იატაკს დაენარცხა და სასწრაფოდ საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა.

„პირველი რაუნდი წავაგეთ, მაგრამ მთელი ბრძოლა წინაა. ჩვენ ვგავართ მოკრივეს, რომელიც პირველი დარტყმით წააქციეს, თუმც ის ისევ ფხიზლობს და ჯერ ძალაც არ დაუხარჯავს“ — ამბობს „ნიუ იორკის“ გამთამაშებელი სტივენ მარბერი. ჩვენში დარჩეს და, ეს წაგება მისი ბრალიცაა: გუნდის ლიდერი ჰქვია და 13 ქულას თავი რომ დავანებოთ, შეხვედრას ორად ორი პასით ასრულებს.

**ინდიანა 1:0 ბოსტონი**

**ინდიანა 104:88 ბოსტონი**

**ინდიანა:** ტინსლი (5), მილერი (11), არტესტი (24), ონილი (24 ქულა, 11 მოხსნა), ფოსტერი (8 ქულა, 10 მოხსნა); ჰარინგტონი (14 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსი (9), ჯონსონი (6), ბენდერი (3)

**ბოსტონი:** ეტკინსი (19), ველში (6), პირსი (20 ქულა, 10 მოხსნა), მაკარტი (5), ბლუნტი (6); დევისი (19), მიმი (9), ბანქსი (2), ჰანტერი (2), სტიუარტი, ბაროსი

„ინდიანამაც“ სოლიდური სხვაობით მოუგო მეტოქეს და — იმის თქმასაც გავბედავთ — სერიასაც მოიგებს, თუმც ვნებები აქაც დუღდა. „ბოსტონს“ ბურთაობა რომ არ გამოუვიდა, „კელტების“ მეორეხარისხოვანმა მოთამაშეებმა „ინდიანას“ ლიდერ ჯერმენ ონილზე და მის ნერვებზე მიიტანეს იერიში და მისი პროვოცირება სცადეს. განსაკუთრებით ბრენდონ ჰანტერის უხეშობამ გაალიზიანა ონილი და ღრიალითაც გამოენთო მას, მაგრამ მსაჯებმა ტექნიკური რომ აგემეს, დაიხია და თამაში განაგრძო. „ამიყვანა ხელში და მომისროლა“ — ცხარობდა ონილი ნამატჩევს, თუმც მერე ძალიანაც არ გაქაჩულა, რაკი მისმა გუნდმა სერია 16-ქულიანი გამარჯვებით გახსნა.

„ინდიანამ“ მეორე მეოთხედის 35:14 მოგებით გატეხა „ბოსტონი“. მაგრამ ამის მიუხედავადაც ბრძოლა ბოლომდე გაგრძელდა. ყველას ახსოვს შარშანდელი, როცა ამ გუნდების პირველ თამაშში ბოსტონელმა პოლ პირსმა ბოლო მეოთხედში 21 ქულა ჩაუგდო და 16-ქულიანი უპირატესობა დაათმობინა „პეისერსს“.

ამჯერად ინდიანელმა რონ არტესტმა პირსს მთელ თამაშში მხოლოდ 20 ქულის ჩაგდების ნება ჰისცა.

„ინდიანაში“ ახლაც უფრთხიან პირსს და პატივსაც სცემენ. „პეისერზის“ მწვრთნელ რიკ კარლაილს 34-ნომრიანი მაისურა ეცვა, რომელიც მას 80-იან წლებში „ბოსტონში“ თამაშისას ემოსა. ღრმად მწამს, რომ ჩემს ნომერს „ბოსტონში“ ახლა მაინც გახდიან მუდმივ ნომრადო, ასეც ხუმრობდა. „სელტიქსში“ ალბათ გამოაცხადებენ კიდეც 34-ს მუდმივ ნომრად, ოღონდ არა კარლაილის გამო. ეს ნომერი ახლა ხომ პირსის საკუთრებაა და ვინძლო მუდმივა მისი დარჩეს.



იაო მინგს პირველი საპლეიოფო გამარჯვება შაქილ ონილმა წაართვა

REUTERS ლოს ანჯელესიდან

**დასავლეთი**

**ლეიკერსი 1:0 ჰიუსტონი**

**ლეიკერსი 72:71 ჰიუსტონი**

**ლეიკერსი:** პეიტონი (11), ბრაიანტი (16), ფოქსი, მელოუნი (7 ქულა, 19 მოხსნა), ონილი (20 ქულა, 17 მოხსნა); რაში (6), ფიშერი (5), მედვედენკო (4), ჯორჯი (3), უოლტონი

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (18), მობლი (10), ჯ. ჯექსონი (11 ქულა, 12 მოხსნა), კატო (6), მინგი (10 ქულა, 11 მოხსნა); ტეილორი (11), ვეზერსპუნი (3), მ. ჯექსონი (2), პადჯეტი, ნახბარი

„ჰიუსტონს“ ჰაკიმ ოლაჯუონის დროებიდან არ უთამაშია პლეი ოფში და მრავალნაცად და მრავალლონე „ლეიკერსს“ რა უნდა მოსწიოსო, ფიქრობდა ხალხი და ალბათ თავად ფავორიტი „ლეიკერსიც“ ამ განწყობით გავიდა მოედანზე. მაგრამ მისმა ელვისებური ომის ტაქტიკამ არ გაამართლა. „ჰიუსტონი“ ბოლომდე იბრძოდა და არსენალში მცირე რამ საპლეიოფო გამოცდილებაც რომ მოეძევებოდეს, ალბათ გამარჯვებულიც გამოვიდოდა.

„ლეიკერსი“ თითქმის არ ჰგავს საპლეიოფო მასალას და ამ თამაშში მხოლოდ შაკილ ონილი თუ დაიმსახურებს მისხალ კეთილ სიტყვას. შაკმა აჯობა იაო მინგს, თუმც მხოლოდ პირველ ტაიმში, მერე კი სტუმრებმა არტახები ერთობლივი ძალებით გაუკრეს და დევშაკმაც მეორე ნახევარში ერთადერთი ბურთი ჩააგდო თამაშიდან. „ლეიკერსის“ საბედნიეროდ, მან ეს მატჩის დამთავრებამდე 17 წამით ადრე მოახერხა და სწორედ ეს ბურთი აღმოჩნდა გადამწყვეტი.

**სან ანტონიო 1:0 მემფისი**

**სან ანტონიო 98:74 მემფისი**

**სან ანტონიო:** პარკერი (10), თურქოღლუ (12), ბოუენი (9), დანკანი (26), ნესტეროვიჩი (4); ჯინობილი (15), ჰორი (10), ვორდი (6), როუზი (4), ჰარტი (2), ვილისი

**მემფისი:** უილიამსი (10), მილერი (1), პოუზი (15), გასოლი (14), რაიტი (6); ველსი (16), სვიფტი (3), ბეტიე (3), უოტსონი (2), ჰემფრი (2), ცაკალიდისი (2), აუთლოო

სხვა ფავორიტებზე იოლად ჩემპიონმა „სან ანტონიომ“ იმარჯვა. მემფისელმა „გრიზლებმა“ თავიანთ 9-წლიან ისტორიაში პირველი საპლეიოფო მატჩი მთლად სასურველ დონეზე ვერ ჩაატარეს და ფსიქოლოგიურად შებორკილებმა უიმედოდ წააგეს. არადა, „მემფისს“ რეგულარულ ჩემპიონატში „სან ანტონიოსთვის“ სამი თამაში მოეგო ოთხიდან და ახლაც თითქოს იმედიანად იყო.

მატერიალური მხრიდან ეს თამაში მემფისელმა მაღლებმა წააგეს. პაუ გასოლი, იაკო ცაკალიდისი, ლორენზენ რაიტი და სხვა მეფარეები რიგრიგობით ცდილობდნენ ტიმ დანკანის და მისი თანამეფარეების შეზღუდვას, მაგრამ ამაოდ. „სან ანტონიომ“ პირველი 25 ქულა სამწამიანი ზონიდან ჩააგდო და საწყისი მეოთხედი 28:19 მოიხვეჭა. არც შემდეგ მოდუნებულან მასპინძლები, 9-ქულიან უპირატესობას მეორე მეოთხედში 6 მიამატეს, მესამეში — 3, მეოთხეში — 5.

**ძოტე ყორშია**

---

WRC

**მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში მეოთხე ეტაპი. ახალი ზელანდია**

## სხვისი ჭირი მარგებელია

**ახალი ზელანდიის** მიწიან, ჩქაროსნულ გზებზე სამგზის გამარჯვებულ ფინელებს მარკუს გრონჰოლმსს და შტურმან ტიმო რაუტიაინენს სარეკორდო, მეოთხე ტრიუმფის მშვენიერი შანსი ჰქონდათ, მაგრამ პირველივე დღეს ისეთი ავარია შეემთხვათ, კინაღამ საერთოდ გამოეთიშნენ რბოლას.

სუომელთა „პეჟო“ პატარა ტრამპლინიდან დახტომის შემდეგ მოსახვევში მკვეთრად შესული, ორჯერ ამოყირავდა. საბედნიეროდ, ეკიპაჟი არ დაშავებულა, გვარიანად დაჭეჭყილი მანქანა კი გვერდზე წამოწვა. იქვე მყოფმა ჟურნალისტებმა და მაყურებლებმა წითელი „ლომი“ ფეხზე დააყენეს და პილოტებმაც გზა განაგრძეს, თუმც ნახევარწუთიანმა შეფერხებამ ლიდერები მეოთხე პოზიციამდე ჩამოაქვეითა.

საინტერესოა, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს „კივის კუნძულზე“ შარშანაც იგივე შეემთხვათ. მაშინაც მაყურებლების დახმარებით შეძლეს ბრძოლის გაგრძელება და ფინიშზე პირველები მივიდნენ. მართალია, ხიფათს ამჯერადაც უვნებლად გადაურჩნენ, მაგრამ შარშანდელი წარმატების გამეორებამდე ცოტა დააკლდათ. არადა, ამ ამბის შემდეგ „პეჟოს“ სიჩქარეთა კოლოფი შესაკეთებელი შეექნა, კაბინაში საჭეც ცოტა მოირყა, თანაც ყოველივე ამას გრონჰოლმის ერთი შეცდომაც დაემატა. ამდენი დავიდარაბის მიუხედავად, ფინელებმა შაბათ-კვირას დიდოსტატურად იჯირითეს, ყველაზე მეტ, შვიდ ჩქაროსნულ უბანზე აჯობეს მეტოქეებს და ასეთ ვითარებაში მათთვის მეორე ადგილიც გამარჯვების ტოლფასია.

გრონჰოლმის ავარიის მერე მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონები,



პეტერ სოლბერგმა წლეულს პირველად იპირველა

REUTERS ოკლენდიდან

ნორვეგიელი პეტერ სოლბერგი და მისი ინგლისელი თანამძღოლი ფილიპ მილსი გალიდერდნენ, ბოლომდე უშეცდომოდ ირბოლეს და დამსახურებული გამარჯვებაც იზეიმეს. ეს სკანდინავიურ-ბრიტანული ინტერდუეტის წლევანდელი პირველი დიდი პრიზია. საწყისი ორი ეტაპის მომგები სებასტიენ ლოები და დანიელ ელენა ამჯერად მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდნენ და ამის გამო ლიდერობის დათმობა მოუხდათ, ხოლო ესტონელ მარკო მარტინს და ინგლისელ შტურმან მაიკლ პარკს ზელანდიაში მესამეობაც ეყოთ სატურნირო ცხრილის სათავეში ჩასადგომად.

დაწინაურებულთა ჯგუფში დიდი სიმჭიდროვეა — ოთხეულს ერთმანეთისგან მხოლოდ კინკილა ქულა აშორებს, ასე რომ, სამი კვირის შემდეგ კვიპროსში რბოლას შესაძლოა, მნიშვნელოვანი გადაადგილებები მოჰყვეს.

**გია ახალაძე**



მარკუს გრონჰოლმის ფრანგული „ლომი“ დალეწილიც ლომივითაა

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 4სთ;02.2;;5 |
| 2 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | ჩამორჩა 5,9 |
| 3 | მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) | 25,6 |
| 4 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 1.05,2 |
| 5 | ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) | 2.23,7 |
| 6 | კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი) | 3.08,9 |
| 7 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, სუბარუ) | 5.42,5 |
| 8 | დანიელ კარლსონი (შვედეთი, პეჟო) | 13.23,8 |

**საერთო ჩათვლა**

1. მარკო მარტინი 26 ქულა; 2. სებასტიენ ლოები 25; 3. მარკუს გრონჰოლმი 24; 4. პეტერ სოლბერგი 23; 5. ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) 14; 6. კარლო საინსი 13; 7. მიკო ჰირვონენი 6; 8. იანე ტუოჰინო (ფინეთი, ფორდი) 5; 9. ფრედი ლოა (ბელგია, პეჟო) 4; 10. ჟილ პანიზი (საფრანგეთი, მიცუბიში) 4

**კონსტრუქტორთა თასი**

ფორდი 47 ქულა, სიტროენი 38, პეჟო 33, სუბარუ 31, მიცუბიში 5

# ერთმმართველობა წავიდა

*ქართულ რაგბიში დიდი ვნებათაღელვის შემდეგ როგორც იქნა, გადაწყდა პრინციპული საკითხი: რაგბის კავშირის პრეზიდენტად თბილისის „ლოკომოტივის" ყოფილი მორაგბე მერაბ ანთაძე მოვიდა და მის შეხედულებებს სარაგბო თემის არაერთი სახელიანი წარმომადგენელი იზიარებს. იმედიანადაა განწყობილი თავის დროზე ანთაძის თანაგუნდელი და ქართული რაგბის ვარსკვლავი დავით კილასონია, რომელიც 15 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებზე კლუბ „უნივერსიტეტის" ხმებს განაგებდა. ეს არჩევნები მერაბ ანთაძემ 16:0 მოიგო*



## დავით კილასონია: რაგბის ვარსკვლავი ნებისმიერ კუთხეში შეიძლება დაიბადოს

— **ბატონო დავით, როგორ ფიქრობთ, არჩევნების მერე შეიცვლება რაიმე?**

— დარწმუნებულიც ვარ, რომ შეიცვლება. ახალარჩეული პრეზიდენტის პროგრამა დაწვრილებით განვიხილეთ. ჩემი აზრით, იგი წარმატებას მოუტანს ქართულ რაგბის, რადგან პროგრამაში ძირითადად სწორედ რაგბის განვითარების გზებია გამოკვეთილი. ეს ეხება როგორც ბავშვთა რაგბის, ასევე კლუბების ალმასვლას და შეჯიბრებების მაღალ დონეზე გამართვას. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ მსოფლიოში ყველგან პირამიდის მსგავსი პროგრამაა და რატომღაც ჩვენთან არ იყო ასე. ჩვენ ეს პირამიდა გადმოვატრიალეთ და მხოლოდ ნაკრების ხელშეწყობამდე დავიყვანეთ. ვერ გათვალა რაგბის კავშირმა, რომ პირამიდა, შეიძლება, წაქცეულიყო.

— **პირამიდაში რას გულისხმობთ?**

— აუცილებელია, ყურადღება მიექცეს ბავშვთა რაგბის, შემდეგ მოდის მოზარდები, მასობრიობა და მწვერვალშია ნაკრები.

— **რაგბის ძველი კავშირის წარმომადგენლები თვლიდნენ, ნაკრებზე იმიტომ გამახვილდა ყურადღება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასულიყვნენ. ახლაც ასე იქნება?**

— რა თქმა უნდა, არა. საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის ამოცანა ყოველთვის ექნება, ვინც არ უნდა იყოს პრეზიდენტი, მაგრამ ამის ფონზე სხვა სფეროს ზიანი არ მიადგება.

— **საქართველოს ჩემპიონატს რა ეშველება?**

— ჩვენ უკვე შევიკრიბეთ ახალ პრეზიდენტთან ერთად და რაღაც მონახაზებიც გავაკეთეთ. პირველ რიგში, უნდა გაცნობოთ, რომ გუნდები აღარ გადაიხდიან ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის გადასახადს, რაც ძალიან დიდი შეღავათი იქნება იმ კლუბებისათვის, რომელთაც არ აქვთ კარგი ფინანსური მდგომარეობა.

— **დაახლოებით რამდენი იყო გადასახადი?**

— თასზე 600 ლარი, ჩემპიონატში მონაწილეობისთვის 1500 ლარი. გარდა ამისა, ლიცენზიისათვის თითოეულ მოთამაშეზე 10 ლარი.

— **და ეს თანხები სად მიდიოდა?**

— კავშირში გროვდებოდა და ალბათ მსაჯთა ანაზღაურებას ხმარდებოდა.

— **მოედნების დაქირავებას?**

— არა. მოედნების ფულს ცალკე ვიხდიდით გუნდები.

— **საიდან შოულობდით?**

— ჩემს გუნდს ჰყავს სპონსორები, ალბათ სხვებსაც, თუმცა ეს თანხები ძალიან მცირეა. უნივერსიტეტის გუნდის ერთი თვის ბიუჯეტი 2000 ლარია.

— **როგორ ვიცით, მოთამაშეებს, ცხრა წელია, ხელფასი არ მიუღიათ...**

— რაგბის კავშირი ამ პრობლემას ჯერ ვერ გადაწყვეტს. ძალიან ბევრია გასაკეთებელი, თუმც პროექტით, რომელიც ახალ ხელმძღვანელობას აქვს, არის გენერალური სპონსორი ფრანგული ფირმის სახით, რომელიც დააფინანსებს საქართველოს სხვა დასხვა ასაკობრივ ნაკრებებს და, რა თქმა უნდა, დაეხმარება ეროვნულ გუნდს. კონკრეტულად ჯერ არ ვიცი, რა პირობებით არის განსაზღვრული ეს სპონსორობა, თუმცა ორშაბათს უკვე ველოდებით ამ ფირმის გენერალურ დირექტორს და ყველაფერი გაირკვევა.

— **რა ფირმაა?**

— არ ვიცი.

— **კიდევ რას გვპირდება ახალი ხელმძღვანელობა?**

— შარშან გუნდები რომ ვიხდიდით თამაშების გამართვისას არენდის ფულს, ამასაც კავშირი იღებს თავზე. გუნდები, სულს მოვითქვამთ და შეგვეძლება რაგბიზე ფიქრი. სასიხარულოა ის, რომ ცდილობენ, გამონახონ თბილისში რამდენიმე მოედანი, სადაც ჩემპიონატის კალენდარული მატჩები გაიმართება. ვიცი, რომ მერაბ ანთაძე ესაუბრა რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ვაშალომიძეს „ლოკომოტივის" სტადიონის თაობაზე.

— **რატომ გადაიდო ამდენჯერ არჩევნები, ნუთუ რაღაც ავანტიურებს ჰქონდა ადგილი?**

— ჯერ ერთი, ჩვენი წესდებით ყოველი წლის მარტში უნდა გაიმართოს ყრილობა. პირადად მე მიმაჩნია, რომ მარტი შეუფერებელია ამისათვის, რადგან სწორედ ამ დროს ყველა ასაკის ნაკრებს საკმაოდ გადატვირთული კალენდარი აქვს. როგორც ვიცი, ახალ წესდებაზე მიმდინარეობს მუშაობა და ალბათ ესეც გათვალისწინებული იქნება. ჩემი აზრით, დეკემბერში უფრო მართებულია ყრილობის გამართვა. რაც შეეხება იმას, რომ იანვარში ჩატარდა პირველი ყრილობა, ეს ყოფილი პრეზიდენტის ინიციატივა იყო. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ყრილობა მანამდე რამდენიმე წელიწადია, არ გამართულა.

— **რატომ მოიწადინა გეგიძემ იანვარში ყრილობის ჩატარება?**

— უსრულდებოდა პრეზიდენტობის ვადა და ალბათ ეგონა, ისევ მას აირჩევდნენ. იანვარი კი ყველაზე შესაფერისი პერიოდი იყო ამისათვის, რადგან თებერვალ-მარტში უკვე დიდი სარაგბო სეზონი იწყებოდა.

— **პრეზიდენტობის კანდიდატებმა წინა არჩევნებზე ხმები თანაბრად „გაიყვეს" და ახლა ასეთი უპირატესობა რატომ მიიღო ანთაძემ?**

— ყრილობაზე რეგისტრაციაში არ გატარდნენ აკადემიის წარმომადგენლები. ისინი იმყოფებოდნენ დარბაზში, თუმცა მათ რეგისტრაცია არ გაიარეს და დატოვეს ყრილობა. ასევე არ ჩამოვიდა აჭარის ხელმძღვანელობა, ხოლო ქუთაისელები, მათივე განცხადებით, მოდიოდნენ ყრილობაზე, თუმცა ავარიაში მოყვნენ ხაშურთან.

— **როგორ ფიქრობთ, ეს ინსცენირებას ხომ არ ჰგავს?**

— რაც არ ვიცი, ვერ გეტყვით. ფაქტი თუ ვინმეს აინტერესებს, გადაამოწმოს. მე არ ვარ დაინტერესებული.

— **ყრილობაზე გეგიძემაც დატოვა დარბაზი, რატომ?**

— გეგიძეს ეგონა, რომ ქვორუმი კვლავაც არ შედგებოდა და ისევ გადაიდებოდა ყრილობა, რაც მათ წისქვილზე ასხამდა წყალს.

— **და ასე რატომ ცდილობდა კავშირი, რომ გაეწელა არჩევნები?**

— ეს ხმების გადაძალვის პროცესი იანვრის შემდეგ გრძელდებოდა და ორივე მხარეს უნდოდა ამ სიტუაციაში უპირატესობის მოპოვება.

— **კი მაგრამ, ძველი პრეზიდენტი ამბობდა, გვაცადონ ცოტა ხანს და თვითონ წავალთო...**

— როგორც ვიცი, ის აპირებდა მთავრობისგან გარანტიების მიღებას, რომ რაგბის დააფინანსებდნენ სათანადო დონეზე და თუ ეს პროექტი არ განხორციელდებოდა, ის თვითონ წავიდოდა კავშირიდან.

— **როგორ ფიქრობთ, ამ 9 წლის განმავლობაში კავშირმა ბევრი გრანტი მიიღო?**

— დანამდვილებით ამ გრანტების შესახებ ვერაფერს ვიტყვი, რადგან ინფორმაცია არ გვაქვს. რაც ვიცით ისევ გეგიძის ნათქვამიდან. მას არაერთხელ უთქვამს პრესაში, რომ საერთაშორისო რაგბის საბჭო საკმაოდ სოლიდური თანხებით ეხმარებოდა სხვადასხვა ქვეყანას და მათ შორის საქართველოს, რათა სპორტის ეს სახეობა განვითარებულიყო. როგორ იხარჯებოდა ეს თანხები, ზუსტად არ ვიცი, თუმცა მგონია, რომ საერთაშორისო რაგბის საბჭო მარტო ეროვნულ ნაკრებზე არ იზრუნებდა და ფინანსებს სხვა სფეროების დახმარებისთვისაც გამორიცხავდა.

— **სარაგბო მოედნის შესახებ რა იცით? როგორც ცნობილია, მზიურში აპირებდნენ აშენებას. რატომ გაუჭიანურდათ?**

— უნდოდათ გრანდიოზული პროექტის დაფინანსება და ეს თანხები ვერ იშოვეს. თუმცა საკრებულო დაპირდა კავშირს, რომ დაეხმარებოდა. ჩემი აზრით, ჩვენ მზიურში მინიმალური თანხებით უნდა მოგვეწყო მოედანი, სადაც თუნდაც ბავშვთა ტურნირების გამართვის შესაძლებლობა იქნებოდა და ის პროექტი მაშინ გაგვეხორციელებინა, როდესაც დიდი დაფინანსება გამოჩნდებოდა. მთელი ქართული რაგბი დგას კატასტროფის წინაშე, რადგან თუ ჩვენ ბალახის საფარიანი მოედნები არ გვექნება ტექნიკური რაგბის თვალსაზრისით ძალიან ჩამოვრჩებით სხვა ქვეყნებს. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და სანამ ძალიან გვიან არ არის, ვინმემ უნდა მოგვხედოს.

— **მზიურის მოედანი აღარ არსებობს?**

— მე მგონი, მზიურის მოედანს მიხედავს ახალი პრეზიდენტი. აუცილებლად უნდა ავაგოთ იქ კარგი სტადიონი.

— **გეგიძე ამბობდა, ანთაძეს და მის ჯგუფს მასობრივ რაგბიზე აქვთ აქცენტი; რაც ხელს შეუშლის ქართული რაგბის აღმავლობასო. რას მოგვიტანს მასობრივი რაგბი?**

— თუ ყველა რეგიონში გაჩნდება რაგბის კერები, ეს მრავალ ახალგაზრდას ჩააბამს სპორტულ საქმიანობაში. გაიზრდება ფიზიკურად ჯანმრთელი და სულიერად მტკიცე თაობები, რაც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ჩვენი ერის მომავლისთვის. რაგბიც პოპულარული გახდება და გამოჩნდებიან მოთამაშეები, რომლებიც შემდეგ მოხვდებიან საქართველოს სხვადასხვა ნაკრებში... რაგბის „ვარსკვლავი" შეიძლება დაიბადოს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში.

— **ესე იგი ამ ხნის განმავლობაში ბევრი ნიჭიერი მოთამაშე დაიკარგა?**

— რა თქმა უნდა, ბევრი დაიკარგა, თუმცა ეს, მარტო რაგბის კავშირის ბრალი არ არის, ამის მიზეზი ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია უფრო იყო.

— **ამის გარდა ბევრი უსამართლოდაც ხომ არ დაჩაგრეს?**

— იცით, რაშია საქმე, მე წავიკითხე ლევან ცაბაძის ინტერვიუ და სხვათა შორის, ვიცი ნაკრების ზოგიერთი მოთამაშის აზრიც, რომ საკმაოდ ნეგატიურ მოვლენებს ჰქონდა ეროვნულ გუნდში ადგილი.

— **კონკრეტულად?**

— ფაქტია, რომ რამდენიმე მოთამაშე, რომლებსაც დიდი დამსახურება ჰქონდათ ქართულ რაგბიში და მათ შორის, ეროვნულ ნაკრებშიც, არ წაიყვანეს ავსტრალიაში. დამოკიდებულება მოთამაშესა და მწვრთნელს შორის ხშირ შემთხვევებში ძალიან რთულია. მინდა აღვნიშნო, რომ ყველა „ვარსკვლავი", რომელიც არაორდინალურად თამაშობს მოედანზე, ცხოვრებაშიც რთული ადამიანია. მწვრთნელი იმიტომ ხარ, რომ ამ საქმეს ფრთხილად მიუდგე და ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რაც საერთო საქმეს უკეთ წაადგება.

— **თქვენ კავშირის მოღვაწეობაზეც ბევრი იცით. ხომ არ შეგიმჩნევიათ, რომ მის ხელმძღვანელობას მწვრთნელის ნაცვლად მიელო გადაწყვეტილება?**

— ბიძინა გეგიძე რომ ერთპიროვნული მმართველი იყო, ეს ყველასათვის ცნობილია. თუ ხანდახან დირექტორთა საბჭო იკრიბებოდა, ეს ის ხალხი იყო, რომლებიც მის მიერვე იყვნენ დანიშნულები. მე მაინც მგონია, რომ გეგიძეს გადაწყვეტილება ყოველთვის ერთპიროვნული იყო. ხოლო აძალებდა თუ არა ის პირადად კლოდ სორელს, რომ რომელიმე მოთამაშე აეყვანა ნაკრებში ან არ წაეყვანა თამაშებზე, ამას ვერც მე გეტყვით და ვერც სხვა. მთავარი ის არის, რომ კავშირში არ ფუნქციონირებდა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი კომიტეტი, მწვრთნელთა საბჭო, სადაც უნდა იყვნენ ჩვენი პროფესიონალი მწვრთნელები. ამ სპეციალისტების აზრი უნდა გაითვალისწინონ პრეზიდენტმა და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა და არა ფუნქციონირების.

— **ხომ არ იცით, ნაკრების მწვრთნელები კვლავაც იგივენი იქნებიან?**

— ვფიქრობ, ახლა რაგბის კავშირის ყველა თანამშრომელმა და ასევე ნაკრებების მწვრთნელებმა უნდა დაწერონ განცხადებები გადადგომის შესახებ. ხოლო ახალი პრეზიდენტი და გამგეობა მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ ვინ დატოვონ სამუშაოდ კავშირში ან ნაკრებების მწვრთნელის პოსტზე.

**ნინო ლეჟავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნადალმა ლაბაძეს ბეწვზე დაასწრო

**ესტორილის ღია პირველობა**
თიხნარი
საპრიზო 520 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**ირაკლი ლაბაძე** (საქართველო) — რაფაელ ნადალი (ესპანეთი) ნადალს კოჭის ტრავმის გამო არ უთამაშია; **ხუან იგნასიო ჩელა** (5, არგენტინა) — ოლივიე პასიანსი (საფრანგეთი) 6:3, 6:2; **მარატ საფინი** (8, რუსეთი) — ტომი რობრედო (4, ესპანეთი) 7:6 (7:2), 2:6, 7:6 (7:5); **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:4, 6:3

**ნახევარფინალი**

**საფინი** — *ლაბაძე 2:3 ლაბაძემ ზურგის ტრავმის გამო შეწყვიტა;* **ჩელა** — მაიერი 6:3, 6:3

ირაკლი ლაბაძეს ზურგი უკვე მაიამობის მერე აწუხებდა და, რაკილა დევისთასზე აუცილებლად უნდა ეჩოგნავა, ტრავმას დროულად ვერ უწამლა. ამის გამო ნატკენი გაუმიზეზდა და სწორედ მაშინ უყელა, როცა ჩოგანი ეგებ კარიერის პირველი საეიტიპიო ფინალისთვისაც უნდა გამოეკრა.

ჰო, ზურგი მართლაც მტკიოდაო, ამბობდა ის საფინთან დროზე ადრე შეწყვეტილი მატჩის შემდეგ. ტკივილი ისეთი გაუსაძლისი იყო, ტურნირიდან გამოთიშვას უკვე გუშინვე ვაპირებდი, მაგრამ ნადალმა დამასწრო. „რაკილა იღბალიც ჩემს მხარეზე დავიგულე — დასძენდა მერე — ვიფიქრე, ეგებ კიდევ ერთ მატჩსაც გავუძლო-მეთქი. სამწუხაროდ, ვერ გავუძელი. დღეს უკვე ნორმალურად მოწოდებაც მიჭირდა.“

სეზონისა და იმავდროულად კარიერის მეორე სეიტიპიო ნახევარფინალმა ჩვენი პირველმეჩოგნის საჩემპიონთარბოლო მონაგარი კიდევ 15 ქულით გაზარდა, რაიც აქამდე. ნაშოვნთან ერთად ჯამურ 65 ქულას შეადგენს და 36-ე ადგილიდან მას კიდევ 6-7 ადგილით ზეასვლის საშუალებას მისცემს.

სხვაფრივ — საფინი კარიერის მეოცე, ხოლო წლის მეორე ფინალში გავიდა. წლეულს მან ავსტრალიის ღია პირველობის ფინალსაც უწია, მაგრამ იქ როჯერ ფედერერთან დამარცხდა. ხოლო წინა 19 ფინალში მეტოქეთაგან სულ რვაჯერ ძლეულა. მის ქომაგებს კი ყველაზე მეტად იმის ენუგეშებოდათ, რომ ხუან იგნასიო ჩელასთვის მას აქამდე ნათამაშებ სამსავე მატჩში მოეგო და ჩოგანი ვითომ რაღა ესტორილში უნდა გასწყრომოდა?!

და ორიოდე სიტყვაც ფლორიან მაიერზეც, 20 წლის უსახელო გერმანელ კვალიფიკანტზე, ვინაც რაგინდარა ტურნირის ძირითად ბადეს მხოლოდ მესამედ უწია და მერე ისე აკრიფა, რომ გასტონ გაუდიოს (7), რადეკ სტეპანეკისა და ვიქტორ ჰანესკუს ძლევის შედეგად უმალ კარიერის პირველ ნახევარფინალში შეპარპაშდა.

**II OPEN DE TENIS COMUNIDAD VALENCIANA**
ვალენსია. თიხნარი
საპრიზო 395 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**ხუან კარლოს ფერერო** (1, ესპანეთი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:4, 6:4; **ალბერტო მარტინი** (6, ესპანეთი) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 6:1, 6:2; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — დავიდ ფერერი (7, ესპანეთი) 6:2, 6:3; **ალბერტ მონტანესი** (ესპანეთი) — მარკ ლოპესი (ესპანეთი) 2:6, 6:2, 6:0

**ნახევარფინალი**

**ვერდასკო** — ფერერო 6:2, 6:1; **მონტანესი** — მარტინი 4:6, 6:2, 6:2

ბევრს რომ გვეგონა, ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი და აწინდელი ყოჩი ხუან კარლოს ფერერო მორიგ ტიტულს სულ ჰარი-ჰარალოთი მოინაგრავდა, ვერ მოგვერთვა. ჩუტყვავილობის გამო კარგა ხნის განმავლობაში ნაუქმევმა კოლობიჭმა ფინალამდე მისაბრძოლი ილაჯი ეგრეც ვერ მოიძია და ნახევარფინალში სულ რაღაც 60 წუთში დანებდა 20 წლის თვისტომ ფერნანდო ვერდასკოს. ეს ვერდასკოს მეორე საკარიერო და — იმავდროულად — საამსეზონო ფინალია. პირველი მან ერთი თვის წინ, აკაპულკოში თვისტომ კარლოს მოიასთან დათმო. ისე, მას ამჯერადაც თვისტომთან უნდა ეპაექრა — ეს ალბერტო მონტანესისთვისაც მეორე საკარიერო ფინალი იქნებოდა.

**აშშ-ის კაცთა თიხნარპირველობა**
ჰიუსტონი
საპრიზო 380 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — იურგენ მელცერი (8, ავსტრია) 7:5, 7:6 (7:5); **ანდრეი პაველი** (5, რუმინეთი) — ჯეიმს ბლეიკი (4, აშშ) 6:4, 6:4; **ლუის ორნა** (7, პერუ) — ტოდ მარტინი (აშშ) 7:5, 6:3; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:2, 6:0

**ნახევარფინალი**

**როდიკი** — ორნა 6:3, 6:4; **ჰაასი** — პაველი 6:4, 6:7 (4:7), 6:4

ენდი როდიკს რომ თავის ზედიზედ მეოთხე ჰიუსტონურ ფინალში გასვლა არ უნდა გასჭირვებოდა, ამას მთელი კვირა ვწერდით. ჰოდა, თუკი ფერეროს ამბავში კლავიატურა ნაცარში ჩაგვივარდა, სასიხარულოა, ენდიბოიმ მაინც რომ არ გაგვატრიზავა.

შეგახსენებთ, რომ 21 წლის იანკი ტურნირის 2001-02 წლების ჩემპიონია, ხოლო შარშანდელ ფინალში ბებერი ანდრე აგასის მიერ იძლია. წლეულს კი საჰეთთრიქო ტიტულს მას 26 წლის ტომი ჰაასი უნდა შესცილებოდა, ვისაც, თავის მხრივ, მთელი შარშანდელი სეზონი მხრის ოპერაციის გამო წაემურდლა და რაგინდარა ტიტული კი 2001 წლის შემდეგ ვეღარ მოურეწავს.



**THE FAMILY CIRCLE CUP**
ჩარლსტონი. თიხნარი
საპრიზო 1,3 მილიონი $

**მეოთხედფინალი**

**ვინუს უილიამსი** (4, აშშ) — ვერა ზვონარიოვა (9, რუსეთი) 6:3, 6:4; **პატი შნიდერი** (11, შვეიცარია) — ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) 6:3, 6:2; **კონჩიტა მარტინესი** (16, ესპანეთი) — ნადია პეტროვა (8, რუსეთი) 6:3, 6:1; **ელენა კოსტანიჩი** (ხორვატია) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 7:6 (7:4), 6:2

**ნახევარფინალი**

**უილიამსი** — კოსტანიჩი 6:4, 6:1; **მარტინესი** — შნიდერი 6:4, 6:3

ყველა ჩამოეცალა, პატარა ხელი თავადაც გამოილო და მრავალთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ კორტზე წარუმატებლად მობრუნებულმა ვინუს უილიამსმა თავის პირველ საამსეზონო ჯერ ნახევარფინალს, ხოლო მერე ფინალსაც მიატანა. იქ მას უნდა რკენოდა შუაკვირაში გაოცდათორმეტწლისებული ამაგდარი ესპანელი კონჩიტა მარტინესი, ვინაც — თქვენც დასტურ უნდა გახსოვდესთ — პირველ წრეში მავანი ჩინელის ძლევით მე-700 საკარიერო გამარჯვება მიითვალა.

**ლევან ძელაურაძე**





მარტინ ბროდომ მორიგი შაიბა გაუშვა
და ჩემპიონი „ნიუ ჯერსი“ პლეი ოფს გამოეთხოვა

**პლეი ოფი. პირველი წრე**

# ეშმა ეშმაკებს ეშვი გაჰკრა

**აღმოსავლეთი**

**ფილადელფია 4:1 ნიუ ჯერსი**

**ფილადელფია 3:1 ნიუ ჯერსი**
*1:0 0:1 2:0*
1:0 ჟამნოვი (14), 1:1 ნიდერმაიერი (34), 2:1 მარკოვი (55), 3:1 კაპანენი (60)

„ეშმაკი“ მოკვდა, გაუმარჯოს ახალ ჩემპიონს, თუმცა, რომელი დაიკავებს „ეშმაკთა“ ტახტს, ჯერ არავინ იცის... „ფილადელფიასთან“ მეხუთე მატჩში 2003 წლის თასის მფლობელის მარცხის მთავარი მიზეზი მარკოვის შორეული დარტყმა იყო, რომელიც მარტინ ბროდოსთვის სრულიად მოულოდნელი გამოდგა. ბოლო წამებზე კი სამი კაპანენმა ცარიელ კარში შეაგდო და საქმეც მოათავა.

ძნელია, ცხელ გულზე ყოფილი ჩემპიონის მარცხის მიზეზების გაანალიზება, მაგრამ ალბათ ბროდოს არადამაჯერებელმა თამაშმა ბევრი რამ განაპირობა. თასის მფლობელთა მთავარი საყრდენი სრულიად უცნობმა ფილადელფიელმა კოლეგამ რობერტ ეშმა დაჯაბნა ყველა მატჩში. „ნიუ ჯერსის“ კაპიტან სკოტ სტივენსის არყოფნაც ძალიან დაეტყო. ვეტერანი იანვრის შემდეგ ვერ გამოკეთდა.

თუმც ნურც „ფილადელფიას“ ჩავუყრით შრომას წყალში. „მფრინავებმა“ მართლა იფრინეს და მსოფლიოს აჩვენეს, რომ „ეშმაკებს“ არც ისე ძლიერი კლანჭები ჰქონიათ.

**ტამპა 4:1 აილენდერსი**

**ტამპა 3:2 აილენდერსი**
0:1 2:0 0:1 1:0
0:1 კვაშა (11), 1:1 ტეილორი (37), 2:1 ფედოტენკო (39), 2:2 პერიში (48), 3:2 სან ლუი (65)

„ჯუჯა“ მარტენ სან ლუი პლეი ოფშიც ამტკიცებს, რომ უძვირფასესის ტიტულის ღირსეული მაძიებელია. მისმა გოლმა „ტამპას“ გადამწყვეტი გამარჯვება მოუტანა „აილენდერსთან“ სერიაში. რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისთვის ეს მეოთხე საპლეიოფო შაიბა გახლდათ და მეორე გადამწყვეტი. „მარტი დიდი კაცია. ისეთი ჟინით და ენერგიით იბრძვის, რომ ყველას გვმუხტავს საბრძოლველად“ — თქვა მატჩის შემდეგ სან ლუის პარტნიორმა ფრედერიკ მოდინმა.

სერიის ბოლო, მეხუთე მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა. გახსოვთ, ყველა წინა შეხვედრა 3:0 რომ დასრულდა, ახლა კი საქმე ოვერტაიმამდე მივიდა.

**ტორონტო 3:2 ოტავა**

**ტორონტო 2:0 ოტავა**
*0:0 0:0 2:0*
1:0 დომი (42), 2:0 ნუინდაიკი (56)

„ოტავამ“ მესამედ ვერ შეძლო ბრწყინვალე ედ ბელფორის კარის დალაშქვრა. სამაგიეროდ, „სენატორებმა“ საკუთარ კარში გაუშვეს და მეტოქე სერიაში დააწინაურეს. მატჩის 42-ე წუთზე ტორონტოელ ტაი დომის არცთუ სახიფათო დარტყმას მეკარე პატრიკ ლალამი იოლად გაუმკლავდა, მაგრამ შემდეგ შაიბა მის პარტნიორ ბრაიან სმოლინსკის მოხვდა და კარში შესრიალდა.

**მონრეალი 3:3 ბოსტონი**

**მონრეალი 5:2 ბოსტონი**
*1:1 2:0 2:1*
0:1 სამსონოვი (8), 1:1 ლენგდონი (13), 2:1 კოივუ (27), 3:1 პერო (35), 3:2 სამსონოვი (45), 4:2 კოვალიოვი (60), 5:2 ბულისი (60)

ზედიზედ ორჯერ მოიგო „მონრეალმა“ და გათანაბრა ანგარიში სერიაში. მეშვიდე, გადამწყვეტი მატჩი ორშაბათს შედგება ბოსტონში.

**დასავლეთი**

**კალგარი 3:3 ვანკუვერი**

**კალგარი 4:5 ვანკუვერი**
*0:1 2:3 1:0 0:0 0:0 0:1*
0:1 რუუტუ (19), 0:2 დ. სედინი (26), 0:3 მეი (27), 0:4 სენდერსონი (31), 1:4 საპრიკინი (31), 2:4 ნიემინენი (33), 3:4 ჟელინა (42), 4:4 კლარკი (53), 4:5 მორისონი (103)

ასეთი მარცხის შემდეგ სავსებით შესაძლებელია, გუნდის ერთმა თაობამ მომავალზე ხელი ჩაიქნიოს. 15 წელია, „კალგარი“ თასის მეორე რაუნდში გასვლის მოლოდინშია და მინიმუმ ორი დღე მოუწევს ლოდინი. არადა, მასპინძლებმა შეუძლებელი შეძლეს, 0:4-ის შემდეგ თამაში ოვერტაიმში გადაიყვანეს, მაგრამ მესამე დამატებით პერიოდში ისინი შოკში ჩააგდო ბრენდან მორისონის საუცხოო გოლმა. „ვანკუვერის“ ფორვარდმა სამი მეტოქე დაიბრიყვა, მათ მეკარეც მიაყოლა და თავისი გუნდი გავარდნას გადაარჩინა.

**ნეშვილი 2:4 დეტროიტი**

**ნეშვილი 0:2 დეტროიტი**
*0:2 0:0 0:0*
0:1 უიტნი (2), 0:2 აიზერმანი (2)

2003 წლის პლეი ოფის სასწაულები ისტორიას ჩაბარდა. ვერც „ნეშვილმა“ გამოჭედა სიურპრიზი. პირველ ოთხ მატჩში ღირსეულად იბრძოდნენ „მტაცებლები“, მაგრამ მეხუთესა და მეექვსეში იძალა ფავორიტმა და თავისი ადგილი მიუჩინა მეტოქეს. „წითელფრიანებმა“ ამჯერადაც თავიდანვე გატეხეს „ნეშვილი“, როცა ერთი ცვლის განმავლობაში რეი უიტნიმ და სტივ აიზერმანმა ერთმანეთს გაატანინეს. მეკარე კერტის ჯოზეფმა კი ზედიზედ მეორე შათაუტი მიითვალა.

**კოლორადო 4:1 დალასი**

**კოლორადო 5:1 დალასი**
*1:1 1:0 3:0*
0:1 ტერიენი (6), 1:1 ჰენდრიკსონი (19), 2:1 კონოვალჩუკი (22), 3:1 ფორსბერგი (41), 4:1 შეიდუკი (50), 5:1 საკიკი (56)

საოცარია, დუელი, რომელშიც ყველაზე დაძაბულ ბრძოლას ელოდნენ, „კოლორადომ“ იოლ გასეირნებად აქცია. ბოლო მატჩში ორი პერიოდი ისე გაილია, რომ ანგარიშში სხვაობა მინიმალური იყო, თუმც მასპინძელთა უპირატესობა აშკარად ჩანდა, რაც ბოლო მესამედმაც დაადასტურა. პეტერ ფორსბერგის სამეულმა შავი დღე აყარა ტეხასელებს.

**სამველ ლარ[illegible]ბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პუერტორიკული სურათი მედისონ სკვერ გარდენში





REUTERS ნიუ იორკიდან

ისე წაეწყო, რომ ყოველ შაბათს ამერიკაში მძიმეწონოსანთა დიდი კრივია. წინა უქმეებზე ლას ვეგასში ვლადიმირ კლიჩკოსა და ლემონ ბრუსტერის ბრძოლა გაიმართა და ამ უკანასკნელმა ორგანიზაციის (ვბო) ჩემპიონობა იგდო ხელს. ამ შაბათს კი ნიუ იორკში, „მედისონ სკვერ გარდენში“ მძიმე წონის პირველი ლათინო მსოფლიო ჩემპიონი ჯონი რუისი თავისი ასოციაციის ტიტულს იცავდა თანამემამულე ფრეს ოკენდას ხელყოფისაგან. 11-ე რაუნდში ოკენდას ილაჯი გამოეცალა და მსაჯმა ჩემპიონი ჩემპიონად დატოვა, თუმცაღა, მაყურებელი არცთუ კმაყოფილი დარჩა ძირითადად ზოზინა სეირით, რომლის დროსაც მოკრივენი ერთადერთხელ, ძიძგილაობისას გადაორდნენ ფიცარნაგზე. მაყურებელი კი გვარიანად მომთხოვნი იყო: თუნდაც მაიკ ტაისონი და ლენოქს ლუისი, რომლის შორიახლოსაც მილიარდერი დონალდ ტრამპი ილანდებოდა.



# წყლის სამყარო და უფლისწული

თითქო წყალზე დადის ეს უკრაინელი გოგო. ამ სიარულის ფასი კი დიდია — ათენის აკვაცენტრში ათენის ოლიმპიადისავე საგზურები თამაშდება. ოლიმპიადამდე ძალიან ბევრი უკლია ბრიტანეთის უფლისწულ უილიამს, რომელსაც ამ გოგოსავით წყალზე სიარული ნამდვილად არ ძალუძს, მაგრამ შოტლანდიის ეროვნულ უნივერსიტეტთა წყალბურთის გუნდში მაინც მოხვედრილა. გუნდი კი კელტურ თამაშებში მონაწილეობს კარდიფის აუზებში და უელსელებსა და ირლანდიელებს ეპაექრება.



REUTERS ათენიდან



REUTERS კარდიფიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სა... შაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარა...სკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge